ლელო

№185 (12 255)

8 აგვისტო ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაუს ტოპმიოლერმა ლუქსემბურგთან მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა

ასათიანის დაბრუნება

შანსი გიგიაძისა და ამისულაშვილისთვის

კლაუს ტოპმიოლერმა სალუქსემბურგო შემადგენლობა გუშინ დაასახელა. სანაკრებო სიაში განსაკუთრებული სიურპრიზებია არაა, მაგრამ ეროვნული გუნდის თავკაცის რამდენიმე გადაწყვეტილებაზე ცალკე მაინც უნდა ვთქვათ.

ნაკრების კარი კვლავ გაიღო რამდენიმე უთამაშებელი ფეხბურთელისთვის. სამაგიეროდ, ტოპმიოლერმა **ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **ვასილ გიგიაძის** წარმატებულ საკლუბო კარიერას ამჯერად ვერ აუარა გვერდი და 22 აგვისტოს თავის გამოჩენის საშუალებას, ალბათ, მათაც მისცემს.

მათგან განსხვავებით, სანაკრებო მიწვევას კვლავ ამაოდ ელის **სანდრო იაშვილი**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირობის შემდეგ, "თუნდში" თვითდამკვიდრების პროცესშია. **ნუკრი რევიშვილის** ტრავმის გამო, **გიორგი ლომაიას** დუბლიორი ახალგაზრდული ნაკრების წევრი **რევაზ თევდორაძე** იქნება. **ჯაბა კანკავა** და **მათე ღვინიანიძე** ახალგაზრდულში გადაინაცვლებენ და **პეტარ სეგრტის** გუნდს პოლონეთში დაეხმარებიან. ყველაზე პოზიტიური მოვლენა კი, ცხადია, ეროვნულ გუნდში **მალხაზ ასათიანის** დაბრუნებაა.

ნაკრები ლუქსემბურგში 20 აგვისტოს, გამთენიისას გაემგზავრება, მატჩი კი 22 აგვისტოს, თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება

ლევან ჯანეზაშვილი

მეკარეები: 1. **გიორგი ლომაია** ("კარპატი"), 50. **რევაზ თევდორაძე** ("მერანი").

მცველები: 3. **ოთარ ხიზანეიშვილი** ("ფრაიბურგი"), 4. **კახა კალაძე** ("მილანი"), 13. **ზურაბ ხიზანიშვილი** ("ბლექბერნი"), 23. **ლაშა სალუქვაძე** ("რუბინი"), 25. **ზაალ ელიავა** ("სკონტო"), 37. **გიორგი შაშიაშვილი** ("შტურმი"), 39. **ალექსანდრე ამისულაშვილი** ("სპარტაკი" ნ.).

ნახევარმცველები: 5. **დავით კვირკველია** ("მეტალურგი" ზ.), 7. **ლევან ცქიტიშვილი** (უგუნდო), 10. **ლევან კობიაშვილი** ("შალკე"), 16. **მალხაზ ასათიანი** ("ლოკომოტივი" მ.), 18. **ზურაბ მენთეშაშვილი** ("ვენტსპილსი"), 20. **დავით მუჯირი** ("კრილია"), 41. **ლადო ბურდული** ("ზარია").

თავდამსხმელები: 9. **ალექსანდრე იაშვილი** ("კარლსრუე"), 15. **ლაშა ჯაკობია** ("მეტალისტი"), 19. **ვასილ გიგიაძე** ("ნეფტინიკი"), 21. **ოთარ მარცვალაძე** ("ზაკარპატიე"), 30. **გიორგი დემეტრაძე** ("არსენალი" კ.), 43. **დავით სირაძე** ("პადერბორნი").

ინტერვიუ ვასილ გიგიაძესა და ალეკო ამისულაშვილთან 2

30 ძირითადი და 7 რეზერვისტი

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა გუშინ დაასახელეს გუნდის 30-კაციანი შემადგენლობა, რომელიც საფრანგეთში გასამართ რაგბის მსოფლიო თასის გათამაშებაზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

ნაკრების მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი

პირველი ხაზი: **გოდერძი შველიძე** (კლერმონი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **ავთანდილ კოპალიანი** (ბაიონი), **მამუკა მაგრაქველიძე** (მონ დე მარსანი).

მეორე ხაზი: **ილია ზედგინიძე** (ოში), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი).

მესამე ხაზი: **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **გია ლაბაძე** (ტულონი), **რატი ურუშაძე** (ნიცა), **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი), **ილია მაისურაძე** (ნანტი).

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული).

10, 15: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო), **პალიკო ჯიმშელაძე** (არასი), **ოთარ ბარკალაია** (ანდორა).

12-13: **დავით კაჭარავა** (ბასტია), **რევაზ გიგაური** (მონლუსონი), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ორიაკი), **ირაკლი გიორგაძე** (დაქსი),

11-14: **ირაკლი მაჩხანელი** (მონ დე მარსანი), **ბესიკ ხამაშურიძე** (აია), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ოთარ ელოშვილი** (არასი), **გიორგი ელიზბარაშვილი** (კრასნი იარი)

30 კაცში ვერ მოხვდნენ, თუმცა რეზერვში რჩებიან:

დავით დადუნაშვილი (მასი), **დავით გასვიანი** (ექსი), , **ზურაბ მჭედლიშვილი** (დომონი), **შალვა სუთიაშვილი** (ანდორა), **დავით ბოლღაშვილი** (ლილი), **გიორგი კაჭარავა** (ვანი), **თემურ სოხაძე** (ბასტია)

საქართველოს ნაკრების საკონტროლო შეხვედრების განრიგში ცვლილებაა. არმან ვაკერენის სახელობის ტურნირზე, 25 აგვისტოს, ბორჯღალოსნები ფიჯის ნაკრების ნაცვლად ისევ "ოშს" დაუპირისპირდებიან.

ბესიკ ჯანგავაძე

ანრი ბრონკანი: საქართველოს ნაკრებში ჯერჯერობით მოსამსახურის როლში ვარ

10

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ვასილ გიგიაძე



ალეკო ამისულაშვილი

ტოპმიოლერის სია

გიგიაძე და ამისულაშვილი დაბრუნდნენ

საფეხბურთო საზოგადოებისა და გულშემატკივრების გაოცებას ნაწილობრივ მაინც ბოლო მოუღო კლაუს ტოპმიოლერმა და ლუქსემბურგის ნაკრებთან 22 აგვისტოს მატჩისთვის ვასილ გიგიაძე და ალეკო ამისულაშვილი გამოიძახა. ორივე მათგანისთვის ეროვნულ გუნდში მიწვევა სიურპრიზი აღმოჩნდა.

ვასილ გიგიაძე:

- სასიამოვნო მოულოდნელობაა, რა მეთქმის. ისე, ცუდ დროს კი მიძახებს. ბოლო ორ თვეში არასასიამოვნო ამბები გადამხდა, "კრივბასის" ხელმძღვანელობამ გული მაგრად მატკინა. ჯერ ბომბარდირობის საშუალება არ მომცა, ზაფხულში კი ისეთი გუნდები გაისტუმრეს უარით, ნებისმიერში სიამოვნებით რომ ვითამაშებდი. გაცილებით ძლიერ გუნდში გადასვლის ნაცვლად, ლიგის დებიუტანტში გამიშვეს. ახლა გოლებიც ვერ გამაქვს, ბოლო ტურში პენალტიც ავაცილე, დაწყევლილი ვარ.

- კი, მაგრამ ახტირკაში თამაშს თავად როგორ დათანხმდი?

- "კრივბასთან" კონტრაქტი ჯერ არ დასრულებულა და კლუბის ხელში ვიყავი. კრივოი როგში კი ფული აღარ აქვთ. რომ დავრჩენილიყავი, ფულს ვერ გადამიხდიდნენ. ახტირკაში კი სოლიდურ პირობებს მთავაზობდნენ და ასეთ ვითარებაში საფიქრალიც არაფერი იყო.

სხვათა შორის, ახლა კიდევ ერთხელ გამიჩნდა უკეთეს კლუბში გადასვლის იმედი. უკრაინაში სატრანსფერო ფანჯარა 30 აგვისტოს იხურება და უკვე "ნეფტიანიკში" გადასული ვიყავი, როდესაც "კრივბასს" ხარკოვის "მეტალისტი" და კიევის "არსენალი" ჩემს გამოსყიდვაზე დაელაპარაკნენ, მაგრამ ისევ არარეალური თანხა მოითხოვეს და არ გამიშვეს. ეს იმედიც გადამეწურა. სამწუხაროდ, ასე ცუდად წამივიდა საქმე. ამ დროს მოულოდნელი და სასიამოვნოა ნაკრებში მიწვევა.

ალეკო ამისულაშვილი:

- ძალიან გაოცებული დავრჩი, ნაკრების მენეჯერმა თამაზ ბოკერიამ რომ დამირეკა და ეს ამბავი მითხრა. რაა დასამალი, მეგონა, ტოპმიოლერს არც ვაინტერესებდი. მართალია, 22 აგვისტოს ამხანაგურად ვთამაშობთ, მაგრამ ნაკრებში მიწვევა ნებისმიერ დროს სასიამოვნოა.

- კიევის "დინამოდან" ნალჩიკის "სპარტაკმა" რომ გამოგისყიდა, ეს პატარა სენსაცია იყო. ეტყობა, ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტის ჩარევამ თავისი ქნა.

- საბედნიეროდ, გუნდისა და ავტონომიის ხელმძღვანელობამ იაქტიურეს. კიევიდან რომ დამიხსნეს, ისეთივე ბედნიერი ვარ, როგორც უკრაინაში წასვლის დროს, დავისვენე და გაურკვევლობაში აღარ ვარ.

- სხვა გუნდები არ გინვევდნენ?

- ოთხი სერიოზული წინადადება იყო, "ლუჩი", "ტომი", კიდევ ორი კლუბი მიწვევდა, მაგრამ კიეველებმა უზარმაზარი თანხა მოითხოვეს.

- უფულოდ ნალჩიკშიც არ გაგიშვებდნენ...

- აქ გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა. ავტონომიის პრეზიდენტი კანოკოვი ჩაერია საქმეში და მასთან ვაჭრობა არ გამოდიოდა.

მე "სპარტაკში" ჩარიცხვითაც კმაყოფილი ვარ. აქ სხვა დამოკიდებულებაა მოთამაშეებისადმი, ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს და ამიტომაც ვთამაშობთ.

მერაბ მამულაშვილი

ეს საწყალი ტორპედო...

ქუთაისის „ტორპედოს" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთამ მთელი ქალაქი შოკში ჩააგდო. გულშემატკივრები აღშფოთებას ვერ მალავენ, ისინი ამ დღეებში პროტესტის ღიად გამოხატვას აპირებენ. „ტორპედოს" დაქვეითებას ზოგი ქალაქის ხელმძღვანელობის უნიათობას მიაწერს, ზოგს კი მიაჩნია, რომ გუნდის უბედურება მისი მფლობელის სინდისზეა. „ტორპედოს" მომავალი ჯერაც გაურკვეველია, არავინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები. საშიში კი ის არის, რომ შესაძლოა მავანთა უთავბოლობის გამო ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა პირველ ლიგაშიც ვერ შეძლოს ასპარეზობა.

„ლელო" „ტორპედოს" საკითხთან დაკავშირებით ქალაქის ხელმძღვანელობის, გუნდის წევრებისა და გულშემატკივრების აზრით დაინტერესდა. თავდაპირველად იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულ **აკაკი ბობოხიძესთან** ვცადეთ შეხვედრა, თუმცა მხარის პირველი პირი ქუთაისში არ ბრძანდებოდა. შემდეგ ქალაქის მერს **ნიკო კაჭკაჭიშვილს** ვთხოვეთ გასაუბრება, მაგრამ მან შეხვედრაზე თავაზიანი უარი შემოგვითვალა და პრესმდივანის პირით ეს გადმოგვცა: „ტორპედოს" ხელმძღვანელობასთან დღეს მქონდა შეხვედრა. მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქმის ვითარებას გაეცნობა. გუნდის მომავალთან დაკავშირებით ორ დღეში გაცილებით ზუსტი ინფორმაცია მექნება."

"ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი **კახა ნემსიწვერიძე** „ტორპედოს" საკითხთან დაკავშირებით შემდეგი აზრისაა: „ყველასთვის გულდასაწყვეტია, რომ ფინანსური კრიზისის გამო „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში ვერ ასპარეზებს. აღმასრულებელი და სამხარეო ხელმძღვანელობა ყველანაირად ეცდება, რომ „ტორპედომ" ამ პრობლემებს მალე დააღწიოს თავი. გუნდს ჰყავს თავისი მფლობელი და „ტორპედოს" ბედზე პირველ რიგში მას უნდა ეზრუნა. გუნდი იმისთვის გასხვისდა, რომ სპონსორს მისთვის მიეხედა და ფეხზე დაეყენებინა. „ტორპედოს" შემთხვევაში კი პირიქით მოხდა. ძალიან ცუდია, რომ „ტორპედო" უმაღლესი ლიგიდან მოიკვეთა, თუმცა არა მგონია ამით ქუთაისში ფეხბურთი მოკვდეს. პირიქით, შესაძლოა, აღმასკომის მკაცრი განაჩენი თითოეული ჩვენგანისთვის გამოსაფხიზლებელი შხაპი იყოს. შეიძლება ამის შემდეგ „ტორპედოს" უფრო მეტი ყურადღება მიექცეს და თითოეულმა ქუთაისელმა გუნდზე მეტი იზრუნოს."

სანამ ქალაქის ხელმძღვანელობა და გუნდის მესვეურები „ტორპედოს" მომავალთან დაკავშირებით რაიმეს გადაწყვეტენ, გუნდი ფეხბურთელებისგან თანდათან იცლება. ბურუსით მოცულ ვითარებაში გაჩერება არავის უნდა. „ლელო" ფეხბურთელებსაც გაესაუბრა.

დავით ხურცილავა: „ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. არადა, საოცარი ენთუზიაზმით ვემზადებოდით ჩემპიონატისთვის. ხელფასი არ გვქონდა, მაგრამ ამისთვის მზად ვიყავით, ოღონდ კი გუნდი გადაგვერჩინა. „ტორპედოს" უბედურება კლუბის მეპატრონის ბრალი იყო თუ ქალაქის ხელმძღვანელობის, ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ფეხბურთელები გუნდიდან გარბიან. პირადად ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი წავიდე თუ პირველ ლიგაში ვითამაშო. სამწუხაროდ, ამ ამბის შემდეგ ვარჯიშის და თამაშის ხალისიც აღარ მაქვს."

არმაზ დოღონაძე: „უმაღლესი ლიგიდან მოკვეთამ თითოეულ ჩვენგანს ძალიან ატკინა გული. გუნდში ჯერაც გაურკვეველი მდგომარეობაა. არ ვიცით, მივიღებთ თუ არა პირველ ლიგაში მონაწილეობას. ბიჭები გუნდიდან გარბიან. „ჩიხურა" და „სიონი" მეპატიჟებიან და შესაძლოა მეც წავიდე. თუ ქუთაისში ისეთი გუნდი გაკეთდება, რომელიც უამაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებს, დავრჩები, თუ არა და ჩემს გზას ვიპოვნი, უფულოდ, უბურთოდ, უფორმოდ და უპერსპექტივოდ დარჩენილ გუნდში გაჩერებას რა აზრი აქვს?"

ზვიად ჩხეტიანი: „გული მწყდება „ტორპედო" ასეთ დღეში რომ ჩავარდა. იმედი გვქონდა, გუბერნატორი და ქალაქის ხელმძღვანელობა დაგვეხმარებოდნენ და უმაღლესში ვითამაშებდით, მაგრამ ბოლოს დახმარებაზე ყველამ უარი გვითხრა. იმასაც არ ველოდი თუ აღმასკომი ასეთ მკაცრ განაჩენს გამოიტანდა... რას ვიზამთ. საწყენია, რომ ქუთაისში ფეხბურთი კვდება. პერსპექტივა არ ჩანს, მაგრამ იქნებ გამოინახოს ისეთი ადამიანი, რომელიც ყველაფერს ნულიდან დაიწყებს და გუნდს ააღორძინებს. მე ასეთ ვითარებაში გამჩერებელი არ ვარ. იანვარში ბელარუსში მივემგზავრები, მანამდე კი რომელიმე ქართულ გუნდში ვითამაშებ."

„ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **დავით ჯანაშიამ** კომენტარისგან თავი შეიკავა. ახალი რა უნდა ვთქვა, ფეხბურთელები გარბიან და ყველა ხედავთ, გუნდი რა დღეშიცაა.

დუმილი ამჯობინა „ტორპედოს" გულშემატკივართა კლუბის თავმჯდომარე **გიორგი გაბიძაშვილმაც**: „ბევრი რამ ვიცი, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე გაჩუმებას ვამჯობინებ."

ბოლოს ჩვენ უბრალო გულშემატკივრებსაც გავესაუბრეთ.

ბადრი მარგველაშვილი: „ქუთაისში ერთადერთი ფეხბურთი გვქონდა და ისიც მოკლეს. იძახიან გუნდი კერძო საკუთრებაა და ქალაქი როგორ დაეხმარებოდაო. კი მაგრამ ეს ხალხი მე ხომ არ მომიყვანია გუნდში? გუნდს რომ აძლევდნენ, იმის გარანტიები ხომ უნდა მიეღოთ მათგან, რომ „ტორპედოს" ნამდვილად უპატრონებდნენ."

დავით კოღუაშვილი: „შეცდომა ოთხი წლის წინათ იქნა დაშვებული, როცა გუნდი ვაისპონსორების ხელში აღმოჩნდა. მას შემდეგ „ტორპედო" მუდამ დაშლის საფრთხის წინაშე იდგა და ეს უბედურება ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა."

„ტორპედოს" ბედი კი ამ დღეებში გადაწყდება. როგორც გავიგეთ. თუ „სამ ტუზს" სტადიონსა და ბაზას იჯარით გადასცემენ. ეს კომპანია „ტორპედო" ისევ დააფინანსებს და ისეთ გუნდს ჩამოაყალიბოს, რომელიც უმაღლესში დასაბრუნებლად იბრძოლებს. დაველოდოთ, რას გადაწყვეტენ ქუთაისელი ჩინოვნიკები.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ზესტაფონი

სანტოსი ბრაზილიაში დაბრუნდა

"ზესტაფონი" თურქული შეკრებიდან 5 აგვისტოს დაბრუნდა, ფეხბურთელებს ორდღიანი დასვენება ჰქონდათ და ახალი ქართული სეზონისთვის მზადების ბოლო ეტაპი გუშინ დაიწყეს. **თემურ მახარაძის** განკარგულებაში ყველა ფეხბურთელია ბრაზილიელი **სანტოსის** გარდა, რომელიც გარკვეული პრობლემების გამო, სადღეისოდ სამშობლოშია და საკმაოდ დიდი შანსია, საერთოდ არ გაეკაროს ზესტაფონს.

კლუბი არ ადასტურებს ცნობას **გიორგი ჭელიძის** გასხვისების თაობაზე. "ზესტაფონის" პრესატაშის, **სერგო ფუტკარაძის** თქმით, ტრავმის შემდეგ იგი ჩვეულ ფორმაშია და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. რაც შეეხება **ბექა გოცირიძეს**, ისიც კვლავ "ზესტაფონის" საკუთრებაა, მაგრამ ძირითადში მოხვედრის ნაკლები შანსი აქვს და შესაძლოა, სხვაგან გაანათხოვრონ.

არაა გამორიცხული, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე "ზესტაფონს" რამდენიმე ფეხბურთელი დაემატოს. კლუბის ხელმძღვანელობის ყურადღების არეალში ქართველი მოთამაშეებიც არიან მოქცეულნი და უცხოელებიც.

ჩემპიონატის პირველ მატჩს იმერლები 10 აგვისტოს გამართავენ, მახარაძის გუნდი "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

დაუბრუნდება სანტოსი (მარჯვნივ) ზესტაფონს?

17-წლამდელთა ნაკრები

ცანკერი და კომპანია პალანგაში

24 სექტემბერს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი ეწყება. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდს საკმაოდ ნაყოფიერი მოსამზადებელი შეკრება აქვს დაგეგმილი, 18 და 20 სექტემბერს ჩვენი ჭაბუკები პორტუგალიაში გამართავენ ორ ამხანაგურ შეხვედრას, მანამდე კი ლიტვაში, პალანგის საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

ეს გათამაშება 18 აგვისტოს დაიწყება, მასში მონაწილეობას 7 ნაკრები მიიღებს. გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი, ჩვენი მეტოქეები პირველ ეტაპზე აზერბაიჯანელები, რუსები და ლატვიელები იქნებიან. მათ შესაბამისად, 18, 19 და 21 აგვისტოს ვეთამაშებით. ცნობისათვის, მეორე ჯგუფში, მასპინძლები, ირლანდიელები და ბელარუსები მოხვდნენ. ფინალში ერთმანეთს ჯგუფების გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან, მეორეადგილოსნები კი ტურნირის მესამე გუნდის ვინაობას გაარკვევენ. ცანკერი და მისი შეგირდები ბალტიისპირეთში 17 აგვისტოს გაემგზავრებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ასათიანი შეთქმულების მონაწილეა?

კალაძემ ფრისკე გაამხილა

კახა კალაძემ "სპორტ-ექსპრესს" გული არ დაწყვიტა და რუსული ესტრადის სექს-ვარსკვლავ **ჟანა ფრისკესთან** შეხვედრაზე ესაუბრა: "ჟანას დიდი ხანია ვიცნობ. ეს ძველი მეგობრების შეხვედრა იყო. ერთმანეთი როდის გავიცანით, არაა მნიშვნელოვანი, საუბარიც არ მსურს. სხვადასხვა საკითხებზე ვისაუბრეთ, იქითურზე-აქეთურზე, საერთოდ, მოსკოვში ბევრი მეგობარი ვნახე. მაგალითად, საქართველოს ნაკრებში ჩემი პარტნიორი მალხაზ ასათიანი, რომელმაც მითხრა, რომ ტრავმის შემდეგ, თავს მშვენივრად გრძნობს და უკვე ჩვეულ დონეზე თამაში შეუძლია".

რაც შეეხება თავად მალხაზ ასათიანს, ის "რუსეთის რკინიგზის" თასზე საკუთარ თავს არ ჰგავდა. მიზეზი მარტივია - "ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა** ახლადმომჯობინებული ქართველი ლეგიონერი ჯერ მცველად მოსინჯა, შემდეგ ნახევარმცველად, "რეალისა" და "მილანის" წინააღმდეგ ისევ დაცვის ცენტრში დააბრუნა. ნორმალური მწვრთნელები, ფორმაში შესასვლელ მოთამაშეებს ასე არ ექცევიან.

სხვათა შორის, ბიშოვეცის გადადგომას ლამის ყოველი ტურის შემდეგ ელიან რუსი ჟურნალისტები და "ლოკომოტივის" მატჩის შემდეგ ტრადიციად იქცა კითხვის დასმა - ანატოლი ფიოდოროვიჩ, ხომ არ გადადექით?

ფიოდოროვიჩი კი იხტიბარს არ იტეხს და წასვლაზე არც ფიქრობს. 60 წლის სპეციალისტისთვის, ალბათ, რუსული რკინიგზის მთავარ გუნდში წარმატების მიღწევა კარიერის რეაბილიტაციის ბოლო შანსია. 1988 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახადა და მას შემდეგ ყველგან ხელი მოეცარა.

როგორც ჩანს, "ლოკომოტივის" მოთამაშეებიც არ არიან ბიშოვეცით აღფრთოვანებულები. ყოველ შემთხვევაში, "სოვეტსკი სპორტთან" მიცემულ ინტერვიუში გაზეთის ექსპერტმა და ცნობილმა სპეციალისტმა **იური სევედოვმა** საყურადღებო მინიშნება გააკეთა, მისი თქმით, აშკარაა, რომ გუნდის ლიდერები - მათ შორის ასათიანიც ახსენა - მწვრთნელის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობენ: "რკინიგზის თასზე "ლოკომტივის" წაგება ლოგიკურია. ლიდერების თვალებში ცეცხლი არ იგრძნობა, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი და ივანოვიჩი არ იბრძოდნენ, ასათიანი ტურნირზე ძეგლს მაგონებდა. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ლიდერები მანამდე არ იბრძოლებენ, სანამ მწვრთნელი არ შეეცვლებათ".

მერაბ მამულაშვილი

ასათიანს და მის თანაგუნდელებს ბიშოვეცის წინააღმდეგ შეთქმულებაში ადანაშაულებენ

ინტერვიუ ნიკოლოზ გელაშვილთან

ბრიუგემ რწმენა შემმატა

ფეხები მხოლოდ ბელგიისთვის არ მინდა

წინა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბომბარდირი, ვიტჯორჯიელი **ნიკა გელაშვილი** გახდა რვა გოლით. მეორე წრე ახალი დაწყებული იყო, გელაშვილმა "ვიტ ჯორჯიიდან" წასვლა რომ გადაწყვიტა და ბელგიას მიაშურა. რამდენიმე დღის წინათ კი გელაშვილი ისევ "ვიტ ჯორჯიაში" აღმოჩნდა.

გელაშვილი **რალფ მინგეს** მწვრთნელობისას რამდენჯერმე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახეს, მიმდინარე შესარჩევში კი უბრალოდ, ვეღარ ითამაშებს 21-წლამდელთა ნაკრებში, რამეთუ უკვე 22 წლისაა.

ნიკასთან საუბარი კი ბელგიური პერსპექტივებით დავიწყეთ.

- ჯერ "ბრიუგეს" მეორე გუნდში ვისინჯებოდი, გამოვდგებოდი თუ არა პირველი გუნდისთვის. შემდეგ წამოვედი ბელგიიდან და მითხრეს, რომ დაბრუნდები, პირველ გუნდში ივარჯიშებო. ასეც მოხდა, "ბრიუგეს" მთავარ გუნდში მივედი, მერე კი გუნდთან ერთად შეკრებაზეც წავედი. "ბრიუგე" სამი ფორვარდის გასხვისებას აპირებდა და თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მე ამიყვანდა, მაგრამ შეკრების მეოთხე დღეს ეს თავდამსხმელები "ბრიუგეში" დაბრუნდნენ და ფორვარდის ვაკანსია კლუბში აღარ დარჩა. ამის შემდეგ ასევე ბელგიურმა "როზელარმა" შემომთავაზა სამწლიანი კონტრაქტი, მაგრამ პირობები არც მე მაწყობდა და არც იმას, ვინც ჩემი კონტრაქტი გამოისყიდა "ვიტ ჯორჯიიდან". გადავწყვიტე, ნახევარი წლით ისევ საქართველოში მეთამაშა, მერე კი კვლავ ბელგიაში წავალ, შესაძლოა, "ბეერსხოტში".

- უფლება შენს ტრანსფერზე ვის ეკუთვნის?

- გელოდი ნანიკაშვილსა და რევაზ ჩელებაძეს.

- "ბრიუგეში" გასინჯვაზე შუა სეზონში რომ ნახვედი, ეს ცოტა არ იყოს, ნაჩქარევი გადაწყვეტილება ხომ არ იყო?

- შესაძლოა, რაღაც-რაღაცეები ვერ გავთვალე, მაგრამ რაც იყო, იმით უკმაყოფილო, მაინც და მაინც, არ ვარ. რომელიმე საშუალო გუნდში არ მივსულვარ, "ბრიუგეში" გატარებული დრო ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო.

- "ვიტ ჯორჯია" დაგეგმილი პროგრამით ემზადებოდა სეზონისთვის, უკრაინაშიც იყო შეკრებაზე, შენ კი გუნდს ახლახან შეუერთდი - დანარჩენ ვიტჯორჯიელებთან შედარებით, მომზადების სხვა საფეხურზე ხარ?

- არა, მეც ხომ გავიარე შეკრება, თანაც "ბრიუგეში". წასვლა-მოსვლაში სულ ხუთი დღე გამიცდა. მოკლედ, სეზონისთვის კარგად ვარ მომზადებული.

- მაინც, რა შეგძინა "ბრიუგეში" ვარჯიშმა?

- "ბრიუგეში" ძალიან მაღალი დონეა. ვფიქრობ, ფიზიკურად და ტექნიკურად ახლა უკეთ ვარ მომზადებული. თავდაჯერებულობაც მომემატა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საკუთარ შესაძლებლობებს სრულად გამოვავლენ.

- "ბრიუგეში" დაბრუნება გამორიცხულია?

- არა, ასე რომ იყოს, "როზელართან" მოვაწერდი ხელს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ "ბრიუგეში" მაინც მოვხვდები. "ბრიუგედან" კი წამოვედი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობაც და მწვრთნელიც ჩემით კმაყოფილები იყვნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, შეკრებაზე არ წამიყვანდნენ. წამოსვლისას "ბრიუგეს" მწვრთნელმა მითხრა, გამოცდილება გაკლია, ბელგიის ჩემპიონატში ხომ ჯერ ნათამაშები არ გაქვსო.

- როცა "ვიტ ჯორჯიიდან" წახვედი, გუნდს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა - საგოლე მომენტებს კი ქმნიდა, მაგრამ გოლი ცოტა გაჰქონდა. მიგაჩნია, რომ შენი დაბრუნებით "ვიტ ჯორჯიას" ეს პრობლემა მოეხსნება?

- რა თქმა უნდა, რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ. როგორმე ექვსი თვე გავძლო აქ და მერე წავალ - საქმეს ასე არ ვუდგები და ფეხებს არ გავუფრთხილდები.

დავით თავართქილაძე

ზამირ ჯანაშია გამგელდა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, **ზამირ ჯანაშია** კარიერას მაინც ზუგდიდის "მგლებში" გააგრძელებს. ინფორმაცია ზუგდიდელთა პრეს-ატაშე **გელა ნაჭყებიამ** დაგვიდასტურა.

ახალგაზრდა თავდამსხმელმა თბილისის "დინამოში" დამკვიდრება ვერ მოახერხა და სათამაშო პრაქტიკის მისაღებად განათხოვრებით მშობლიურ ქალაქში დაბრუნება ამჯობინა. "მგლების" პრეზიდენტი თავად მოთამაშესაც შეუთანხმდა და ეტყობა, თბილისის "დინამოსაც". ყოველ შემთხვევაში, ჯანაშიამ კლუბში უკვე თქვა, რომ დღეს ზუგდიდში გაემგზავრება.

მერაბ მამულაშვილი

ხვალ პირველლიგელთა დღეა

ხვალ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში პირველლიგელთა შეკრება გაიმართება. როგორც იცით, მომავალი სეზონიდან პირველი ლიგა ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონად უნდა გაიყოს. წესით, თითოეულ ზონაში ათმა გუნდმა უნდა ითამაშოს. პფლ-ის საშეჯიბრო სამსახურის უფროსი **ნოდარ კაკულია** სამწრიანი კალენდრის შედგენას აპირებს, შესაბამისად, თუ ზონას ათი მონაწილე ეყოლება, თითოეული გუნდი სეზონში 27 თამაშს ჩაატარებს.

კალენდრის მაკეტი უკვე მზადაა, პირველლიგელები ლოტოტრონიდან ციფრებს ამოიღებენ და კალენდარიც იქვე დაზუსტდება. კვლავ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა ქუთაისის "ტორპედოს" პირველ ლიგაში ასპარეზობის საკითხი. ყველაფერი, სავარაუდოდ, დღეისთვის უნდა გაირკვეს.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საუკეთესოებსა და საპატიმროში

"სოვეტსკი სპორტმა" ბოლო ტურის შემდეგ საუკეთესოთა რეიტინგი გამოაქვეყნა. მოსკოვის ცსკა-სთან გატანილი ბურთით, ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი ლეგიონერი **ალეკო ამისულაშვილი** ყველაზე ლამაზი გოლის ნომინაციაში მე-10 ადგილს იყოფს.

"კრილია სოვეტოვის" ქართველი გამთამაშებელი **დავით მუჯირი** კი "ახლო უცხოეთის ლეგიონერთა" შორის მეშვიდე ადგილზეა. მისი ქულათა საშუალო ჯამი 5,62-ია. აქ "ზენიტის" უკრაინელი კაპიტანი **ანატოლი ტიმოშჩუკი** ლიდერობს (5,85). მუჯირმა გაციების გამო ტური გამოტოვა. თუმცა დრო უქმად არ დაუკარგავს და საინტერესო აქციაში ჩაერთო. "სამარსკი ფუტბოლის" ინფორმაციით, მან სამარის ოლქის სოფელ სპირიდონოვკის 26-ე გამოსასწორებელ დაწესებულებაში ორი საათი გაატარა. მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, სადაც ათასხუთასი პატიმარია, საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბეს, რომელიც პატიმართა ჩემპიონატში მონაწილეობს.

სწორედ ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ კეილინმა** სთხოვა მუჯირს კოლონიაში მისვლა, რაზეც ის სიამოვნებით დათანხმდა.

"ეს მშვენიერი შეხვედრა იყო. თურმე, აბსოლუტურად განსხვავებული, სხვადასხვა ასაკის ადამიანები, "კრილიას" ბედს ძალიან განიცდიან. ვერ წარმოვიდგენდი, ციხეში "კრილიას" ამდენი გულშემატკივარი თუ ეყოლებოდა. მათ ჩვენზე ყველაფერი იციან. პატიმრებისაგან უდიდესი სითბო და სიყვარული ვიგრძენი" - უთხრა "სამარსკი ფუტბოლს" კოლონიიდან გამოსულმა მუჯირმა.

ამასობაში, მუჯირთან დაპირისპირებულ მთავარ მწვრთნელ **სერგეი ობორინს** გულშემატკივარიც უტევს და პრესაც. ბოლო ტურში, "როსტოვთან" გასვლითი მატჩის დროს სამარელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნაზე ობორინს პლაკატი გამოუკრეს - "ნუ სულელობ, წადი!"

მერაბ მამულაშვილი

კანკავა ლიდერის როლში

უკრაინის ჩემპიონატს მოულოდნელი ლიდერი ჰყავს - ვიშა ლიგის სასტარტო სპურტი დნეპროპეტროვსკის "დნეპრმა" ქულათა მაქსიმუმით მოიგო. **ოლეგ პროტასოვის** გუნდმა მეოთხე ტურში სტუმრად ჩემპიონი კიევის "დინამო" 3:1 დაამარცხა. სასიხარულოა, რომ კლუბის ძირითად შემადგენლობაში დაკარგული ადგილი დაიბრუნა ქართველმა **ჯაბა კანკავამ**, რომელმაც თავისი აზრები უკრაინულ მედიას გაუზიარა:

- როგორ მოემზადეთ "დინამოსთან" მატჩისთვის? მგონი, თქვენ შეძელით დაგემტკიცებინათ, რომ დამსახურებულად ლიდერობთ.

- როდესაც ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშობ, დამატებითი სტიმული საჭირო აღარაა. მწვრთნელმა თამაშის წინ გვითხრა, რომ მთავარია კარგად ვითამაშოთ, მაყურებელს კარგი ფეხბურთი ვანახოთ და შედეგიც აუცილებლად მოვა.

- პირველ ადგილზე ყოფნა ხომ არ მოადუნებს გუნდს?

- არა მგონია, ჩვენი მიზანი კვლავ პირველ ადგილზე დარჩენა იქნება. რა თქმა უნდა, შენარჩუნება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე მოპოვება. მწვერვალზე ყოფნა რთულია, თუმცა შევეცდებით ჩვენი გულშემტკივრები არ გავაწბილოთ.

- რა გითხრათ თამაშის შემდეგ ოლეგ პროტასოვმა?

- მწვრთნელი ძალიან გახარებული იყო. ყველას მადლობა გადაგვიხადა კარგი თამაშისთვის და დამსახურებული გამარჯვება მოგვილოცა. საერთოდ, ახლა კლუბში ისეთი მდგომარეობაა, რომ ყველა გახარებულია, ყველა ბედნიერია.

კარლ ცაისი გაწირეს

გერმანულმა ინტერნეტწყაროებმა მეორე ბუნდესლიგის სტარტის წინ მცირე ანალიტიკური მიმოხილვა გამოაქვეყნეს, სადაც იმ კლუბების შანსები განიხილეს, რომელთაც ლიგაში დარჩენისთვის ექნებათ ბრძოლა. სიაში ორი "ქართული კლუბი" მოხვდა. შარშანდელ სეზონში გავარდნას ბოლო ტურში გადარჩენილ "კარლ ცაისს" ამჯერად ბოლოსწინა, მე-17 ადგილს უწინასწარმეტყველებენ. "კარლ ცაისი" დაცვაში მთლიანად ქართველთა იმედზეა, კლუბმა სამი ქართველი მცველი გადაიბირა: **გიორგი სეთურიძე**, **ილია კანდელაკი** და **გიორგი ონიანი**. **დავით სირაძის** "პადერბორნს" გერმანელი ჟურნალისტები სავარაუდოდ მე-14 ადგილს უწინასწარმეტყველებენ. **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგს" და **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენს" კი გერმანელ ჟურნალისტთა აზრით დაქვეითების საფრთხე არ ემუქრებათ.

დასასრულს უახლოვდება
საქართველოს პრეზიდენტის თასზე
ტრადიციად ქცეული გათამაშება მინი-ფეხბურთში. ადრე რაიონებსა და ქალაქებში გამოვლინდნენ, ახლა კი რეგიონებში ვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც მთავარ პრიზს, ფინალურ ეტაპზე, განმუხურში გაითამაშებენ 15-20 აგვისტოს.

ქართული ტრანსფერები

გუნდი	წავიდნენ	მოვიდნენ	მზადება
ოლიმპი	ძოძუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილიგ. ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი), ხუბუა, დანი	ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟივკოვიჩი, დვალი (ჩიხურა), რ. ჯიქია (არენდით მგლებიდან), ჯილდასი	შეკრება ურეკში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი
დინამო	იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (შტურმი), სირბილაძე (GMFF შვედეთი), ზ. ჯანაშია (მგლები)	გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირემი, ვუკუე, დობეში, ლობჟანიძე (ბათუმი)	შეკრება ბაკურიანსა და გერმანიაში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ამერი	სევასტოპულო (მერანი)	კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავიძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა)	შეკრება ჩეხეთში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ზესტაფონი	ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ქელიძე, ბ. გოცირიძე, ლეანდრო, პარამონოვი, დოლონაძე	—	შეკრება ურეკსა და ანკარაში
ვიტ ჯორჯია	გველესიანი (დინამო), თ. კობიაშვილი (ბორჯომი)	—	შეკრება ყირიმში
სიონი	კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელები), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავიძე (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), მამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელაძე (ოლიმპი)	აკობია (მწვრთნელი), გ. იაშვილი (კახეთი), რეხვიაშვილი, ქუთათელაძე (ტორპედო)	შეკრება ბოლნისში შეკრება ურეკში
დილა	თევდორაძე, კ. ხანიშვილი		
ლოკომოტივი	გოჩაშვილი, სოსელია, ჩომახიძე	გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლაღაძე (ტორპედო)	შეკრება ურეკში
ბათუმი	ლობჟანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლოკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე	—	შეკრება არ დაწყებულა
ბორჯომი	კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (?), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდალაევი, ნადირაშვილი, ავალიანი	ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (შერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზ. სტურუა (დინამო), ლ. აკობია (დინამო), ნერგაძე, (დინამო), ბაბუნაშვილი (დინამო),	შეკრება ბორჯომში
მერანი	ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, გაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი)	კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეკარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მეშაქრე), სევასტოპულო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (გაგრა), ტყეშელაშვილი (გაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/-დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჟანიძე (ნ/დინამო)	შეკრება კოჯორსა და ურეკში
ცხინვალი	—	ჟორჟიკაშვილი (მწვრთნელი)	—
მგლები	გ. თოდუა (მტზ-რიპო), რ. ჯიქია (იჯარით ოლიმპი)	ექონია (სიონი), ჭედია (ტორპედო), ზ. ჯანაშია (დინამო), ხუბუა	შეკრება ზუგდიდში
მესხეთი	მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მაღაროელი), ილურიძე (მაღაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია)	აფრიამაშვილი (გაგრა), მამუკაშვილი (გაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი)	შეკრება ახალციხეში

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. სეზონის წინ. მარიო ბასლერის ექსპერტიზა

ვერდერი ლამაზი ქალივითაა

და ჰამბურგის ჰოლანდიური იდილია

ვერდერის მთავარი მწვრთნელი თომას შაფი და დიეგო



"ვერდერი" ლამაზი ქალივითაა - ნახევარი წლის განმავლობაში თავს თუ არ უვლის, მახინჯდება...

დღესდღეობით, "ვერდერს" ყველაფერი აკლია და არაფერი გამოსდის. **თომას შაფის** გუნდი ვერ ბრწყინავს, აკლია დინამიურობა, აღარ ჩანს სოლიდურობა და თავდაჯერებულობა. 2007 წელი "მუსიკოსთათვის" ცუდად დაიწყო და ცუდად გრძელდება: საგოლე მანქანა აღარ მუშაობს! იმედია, დროებით, რადგან "ვერდერი" ბუნდესლიგის მშვენებაა.

მიროსლავ კლოზეს შემცვლელი არ არსებობს, ბრემენულ კლუბს აღარ ჰყავს "დიდი თავდამსხმელი" და აშკარაა, რომ ეს გუნდი ამ მხრივ სატრანსფერო ბაზარზე აღარ გააქტიურდება. შაფის ბიჭები ლიგის თასზე "ბაიერნთან" პირწმინდად შერცხვნენ, გერმანიის თასზე კი, "ბრაუნშვაიგთანაც" კი ძალიან გაუჭირდათ. ჰო, რა თქმა უნდა, შაფს წამყვანი ფეხბურთელები აკლდა, მაგრამ გასასამართლებელი საბუთებისთვის ქულებს არავინ იძლევა! მე თუ მკითხავთ, "ვერდერს" შაბათს, "ბოხუმში" გამარჯვებაც უნდა გაუჭირდეს.

და ვისი ბრალია ეს ყველაფერი? ხელმძღვანელების? არა! შაფის? რა თქმა უნდა, არა! დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ კლოზეა, რომელმაც თავისი ყოფილი გუნდი დაუფიქრებლად მოისროლა ნაგვის ყუთში! და ამაზე უარესი ის გახლავთ, რომ "ვერდერში" არავინაა ისეთი, ვინც კლოზეს მიერ ჩასვრილ საქმეს გამოასწორებს. ვფიქრობდი, რომ მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ფხას გამოიჩენდა, მაგრამ მასაც სძინავს და აი, აქ დამტკიცდა, რომ ეს კაცი არც ისეთი გრანდიოზული მმართველია, როგორიც ერთი წლის წინათ ჩანდა. არადა, მენეჯერის ხელი ამ გუნდს სწორედ ახლა სჭირდება. სჭირდება მინიმუმ ერთი მაღალი დონის ფორვარდიც, მაგრამ...

კარლოს ალბერტოს ყიდვა ჩინებული გადაწყვეტილება იყო. ამ ბიჭში 8.5 მილიონი ევრო დაიხარჯა და **დიეგოს** ბრაზილიელი ძმაკაცი კარგი შენაძენია. სერბი **ტოშიჩის** ყიდვა გამოუვალი მდგომარეობის გამო გადაწყდა. მაგრამ ვინ და რატომ გადაწყვიტა **ბოუბაკარ სანოგოს** შეძენა? და საიდან მოდის ეს თავდამსხმელი? "ჰამბურგიდან", მოსისხლე მტრის ბანაკიდან, თანაც, სათადარიგოთა სკამიდან! სანოგოს ტრანსფერი "ვერდერის" ფანებისთვის კიდევ უფრო დიდი სასჯელი იყო, ვიდრე კლოზეს წასვლა. არადა, ალოფსი გიგანტ თავდამსხმელებს უმიზნებდა: **მილან ბაროშს**, **როი მაკაის**, **ლუკას პოდოლსკის**, **ჯონ კარუსა** და **კლაუდიო პისაროს**. ბოლოს კი სანოგო შერჩა!

6 მილიონი ევრო სანოგოსთვის უბრალოდ ძვირი კი არა, ფანტასტიკურად ძვირია! მეტსაც გეტყვით, ღორულად ძვირია. თუმცა ამ ბიჭს "კაიზერსლაუტერნიდან" ვიცნობ და ერთი რამ ვიცი: პოტენციალი ნამდვილად აქვს და თუ გაგიუდა, ძალიან ბევრი გოილის გატანა შეუძლია. სანოგოსთვის ყველაზე კარგი ის არის, რომ მისი მწვრთნელი შაფია, შესანიშნავი ფსიქოლოგი და ყველა ფეხბურთელის მეორე მამა. ამ კაცის ხელში სანოგო კი არა, საფლავიდან ამოღებული **პუშკაშიც** კი გაიტანს გოლებს. წარმომიდგენია, როგორი მამაშვილური სიყვარულით ეუბნება თომასი ბოუბაკარს: *"შენ ყველაზე მაგარი ხარ, დამერწმუნე, საუკეთესო ხარ!"* ეს შაფისეული ჰიპნოზია - ცაკ და სანოგო ბუნდესლიგაში 15 გოლს გაიტანს!

ტორსტენ ფრინგსი მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახლავთ: დარბის, როგორც გოგო, მაგრამ ორთაბრძოლებში ისე შედის, როგორც ნამდვილი მონსტრი. ასეთი ტიპები ბუნდესლიგას უფრო საინტერესოსა და დამაინტრიგებელს ხდიან. როცა ფრინგსი გამოჯანმრთელდება, "ვერდერს" საქმეები გაცილებით უკეთესად წაუვა.

ტორსტენთან ერთად "ვერდერი" უპრობლემოდ გავა მესამე ადგილზე. საკითხავი ის არის, მოახერხებენ კი "მუსიკოსები" ფრინგსის გარეშე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევას? არ გაგვიკვირდეს, რომ უეფას თასზე პირდაპირ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გადაინაცვლონ და არა ჯგუფში დაკავებული მესამე ადგილის ხარჯზე.

...და ისე რომ მოხდეს, "ვერდერმა" სამეულში ადგილი ვერ დაიმკვიდროს და ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ გავიდეს, მაშინ კლოზეს მიუნხენში კიდევ ერთი ვარსკვლავი გაჰყვება: რა თქმა უნდა, დიეგო! ბუნდესლიგის ყველაზე მაგარი ფეხბურთელი, რომელიც ყველას აღაფრთოვანებს.

თუ ისე მოხდა, რომ დიეგომ ეს სეზონიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა, მაშინ აბსოლუტურად ყველაფერი ისე იქნება, როგორც კლოზეს შემთხვევაში იყო: ჰანოვერის სასტუმრო, საიდუმლო შეხვედრა, რომლის შესახებაც "სრულიად შემთხვევით" მთელი გერმანია გაიგებს, "ვერდერი" გაბრაზდება, დიეგო კი "ბაიერნში" ამოყოფს თავს! ჰიონესი ბრაზილიელს ჯერ კიდევ აცდის - რაც არ უნდა იყოს, ერთი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება იმას არ ნიშნავს, რომ მოთამაშე მაგარია. მაგრამ თუ დიეგომ წლეულსაც იბრწყინა, მერე კი ული ხელებს დაიკაპიწებს და ალოფსს კიდევ ერთხელ გააწნავს სილას...

■ ■ ■

"ჰამბურგში", პირადად მე, მხოლოდ სამი სიტყვა აღმაფრთოვანებს: ვან! დერ! ვაარტ! ყველაფერი ის, რასაც ეს ბიჭი HSV-ში აკეთებს, გრანდიოზულია. რაფაელი ნელ-ნელა ყალიბდება სუპერვარსკვლავად და ჩემთვის უკვე ცხადია, რომ როგორც კაპიტანი, ჩრდილოგერმანულ კლუბს მეხუთე ადგილზე გაიყვანს - უეფას თასზე! 2008 წელს კი, **ვან დერ ვაარტის** აბარგების დრო დადგება. და სხვათა შორის, ამის გამო ვერავინ უსაყვედურებს. ამ ბიჭს იქ უნდა, სადაც მისი ადგილია: ჩემპიონთა ლიგაში! "ჰამბურგი" კი უეფას თასის გუნდია. მაგალითად, ახლა ჩრდილოელები ბუდაპეშტში უნდა ჩავიდნენ, მერე ალბათ სოფიაში მოუწევთ ჩასვლა და ა.შ. ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი და რაფაელიც ტოპ-კლუბში გადავა.

შესაბამისად, გუნდის სპორტულ დირექტორ **დიტმარ ბაიერსდორფერს** ბევრი დრო აქვს იმისთვის, რომ ჰოლანდიელი ვარსკვლავის შემცვლელი ეძებოს. ვის იყიდის? ფაქტი ის გახლავთ, რომ ამ კაცისგან ყველაფერია მოსალოდნელი - **რონალდინიოდან** ვიდრე **ჩუპო-მოტინგამდე**. ბაიერსდორფერი ზოგჯერ მსოფლიო, ზოგჯერ კი პროვინციული დონის ბოსია. ერთ დღეს სანოგოსნაირ ტიპს "ვერდერს" 6 მილიონად მიჰყიდის, მეორე დღეს კი **მოჰამედ ზიდანში** 5.8 მილიონს გადაიხდის.

არა, 5.8 მილიონი პატარა ზიდანის სანაცვლოდ მაინც ძალიან ბევრი იყო! ეს იგივეა, რომ სუპერმარკეტში, 200 გრამ ხორცში 20 ევრო გადაიხადო და სახლში ბედნიერი მიხვიდე იმ იმედით, რომ შენი ცოლი ტაშს დაგიკრავს და სპონტანურ წვეულებას მოაწყობს. ცხადია, ზიდანს შეუძლია, რომ დიდი ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ყოველ დილით, ლოგინში ბუტერბროტს მიართმევ, თანაც ლამაზად და კოხტად შეკმაზულს. ზიდანს კონდიციაზე მეტად ჰარმონია სჭირდება - ამიტომაც გაქაჩა "მაინცში". იქ მას ბერვს არ სთხოვდნენ, უმაღლესი დონის ფეხბურთზე პრეტენზია არავის ჰქონდა და რაც მთავარია, გვერდით ყველაზე ხალისიანი მწვრთნელი ჰყავდა: **იურგენ კლოპი**, რომელიც ყველასთვის მზის ნათებაა. ჩემი აზრით, თუ ამ ბიჭს რამე შეეძლო, "ვერდერში" უნდა წარმოეჩინა, სადაც საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ შესაძლებლობები დაემტკიცებინა. ახლა კი "ჰამბურგშია", სადაც გაცილებით მეტს ითხოვენ, ვიდრე "ვერდერში" - მიუხედავად იმისა, რომ HSV ბრემენულ კლუბზე სუსტია.

ზიდანი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს იმედებს, თუკი ბაიერსდორფერმა მის კონტრაქტში ჩადო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ყოველი თამაშის დროს, "ჰამბურგის" თავკაც **ჰუუბ სტევენსის** გვერდით კლოპი იქნება. სტევენსი არ არის კლოპი, "ჰამბურგი" არ არის "მაინცი" - შესაბამისად, მოჰამედ ზიდანისგან პირადად მე არაფერს ველი.

ხუმრობა იქით იყოს და ზიდანის შემთხვევაში სტევენსი, პირველ რიგში, ფსიქოლოგი უნდა იყოს და მხოლოდ ამის შემდეგ კარგი მწვრთნელი. მოჰამედს დაყვავება და მოფერება სჭირდება იმისთვის, რომ გოლები გაიტანოს. თუ გნებავთ, ნიძლავს ჩამოვალ, რომ ზიდანი "ჰამბურგში" ისევ დაპატარავდება, რადგან სანამ ამ გუნდში ვან დერ ვაარტი თამაშობს, გოლებს სხვა ვერავინ გაიტანს.

რაც შეეხება სტევენსს - ეს კაცი ჩემთვის უდიდესი სენსაციაა, რადგან "ჰამბურგი" იმ დროს გადაარჩინა, როცა მისი მეუღლე, სარეცელს მიჯაჭვული, სიკვდილს ებრძოდა. საყვარელო ჰუუბ, ჩემი რესპექტი თქვენ!

გუნდის ბოსებმა, მადლობის ნიშნად, სტევენსს კონტრაქტში მგონი ახალი პუნქტი დაუმატეს, რომლის მიხედვითაც, მას შეუძლია, გუნდში იმდენი ჰოლანდიელი მიიყვანოს, რამდენიც უნდა - ექსფეიენოორდელი **კასტელენი** ხომ რიგით მეოთხე ჰოლანდიელია ძირითად შემადგენლობაში.

მარიო ბასლერი
ბილდი

ეს საინტერესოა

ვერდერი ახალი სეზონის წინ

ადგილები წინა სამ სეზონში: 3, 2, 3.

მწვრთნელი: თომას შაფი (46 წლის, კონტრაქტი 2008 წლამდე).

მოვიდნენ: კარლოს ალბერტო (კორინთიანსი, 8.5 მილ), სანოგო (ჰამბურგი, 6 მილ), ტოშიჩი (სოშო, 2.5 მილ), ანდრასენი (მაინცი, განათხოვრებული იყო), პელატცი (ჰერტა, უფასოდ), ჰარნიკი, შინდლერი, არტმანი, ბიშოფი (მოყვარულებიდან).

ნავიდნენ: კლოზე (ბაიერნი, 15 მილ), პოლენცი (ალემანია, 200 000), რაინკე (?), კ. იენსენი (კარლ ცაისი, უფასოდ).

მიზანი: ჩემპიონობა.

პირველი ორი მატჩი: ბოხუმი (სტუმრად), ბაიერნი (შინ).

ეს საინტერესოა

ჰამბურგი ახალი სეზონის წინ

ადგილები წინა სამ სეზონში: 7, 3, 8.

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი (53 წლის, კონტრაქტი 2008 წლამდე).

მოვიდნენ: მოჰამედ ზიდანი (მაინცი, 5.8 მილ), კასტელენი (ფეიენოორდი, 3 მილ).

ნავიდნენ: სანოგო (ვერდერი, 5 მილ), ლაასი (ვოლფსბურგი, 1.5 მილ), მაჰდავიკია (აინტრახტი, უფასოდ), ლაუთი (ჰანოვერი, 500 000), ბერიშა (ბარნლი, 500 000), ვეხტერი (ჰანზა, უფასოდ), კირშშტაინი (ფიურტი, უფასოდ), კლინგბაილი (უგუნდოდ), ლიუბოჟა (შტუტგარტი, ნათხოვარი იყო), აბელი (შალკე, ნათხოვარი იყო).

მიზანი: უეფას თასის საგზური.

პირველი ორი მატჩი: ჰანოვერი (სტუმრად), ლევერკუზენი (შინ).

გაბრიელ ჰაინცე

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჰაინცეს მოგავალს არბიტრაჟი გადაწყვეტს

არგენტინელს მანჩესტერიდან წასვლა სურს, მანჩესტერს კი მცველის ლივერპულში გაყიდვა არ უნდა...

გაბრიელ ჰაინცეს "მანჩესტერიდან" აბარგება სურს. **სერ ალექს ფერგიუსონმა** კი შეგირდს აუწყა, რომ მას მხოლოდ საზღვარგარეთულ კლუბში გაყიდიან. აი, რა განუცხადა ჰაინცემ "სანის" კორესპონდენტს: *"მწვრთნელს ვუთხარი, რომ თუ სერიოზული შეთავაზება იქნება, წავალ. დღეისთვის ასეთი შეთავაზება "ლივერპულიდან" მივიღე. ეს კი, როგორც ვხედავ, პრობლემაა. გასული სეზონის მიწურულს "იუნაიტედი" შემპირდა, რომ ხელს არ შემიშლიდა, თუ პირობები ყველა მხარისთვის მისაღები იქნებოდა. ჩემი აზრით, თანხა, რომელსაც "ლივერპული" იხდის, "მანჩესტერისთვის" ხელსაყრელი უნდა იყოს. მწვრთნელის კარგად მესმის, მაგრამ მათაც უნდა გამიგონ. ჩემი ადვოკატები საქმის დეტალებს სწავლობენ. ალბათ, პრემიერლიგის არბიტრაჟს მივმართავთ."*

ჰაინცეს მანჩესტერული კონტრაქტი ორი წლის შემდეგ იწურება. "ლივერპული" "იუნაიტედს" 6.8 მილიონ გირვანქას სთავაზობს. პირობები სარფიანია, მაგრამ "ეშმაკებს" არ სურთ, ფეხბურთელი თავისსავე კონკურენტს გადაულოცონ. გაბრიელი კი "მანჩესტერის" თადარიგში ყოფნას არ აპირებს. გასულ სეზონში ის სკამზე გადასვეს. დაცვის მარცხენა ფლანგზე მისი ადგილი ფრანგმა **პატრის ევრამ** დაიკავა. არბიტრაჟის სხდომა მომავალ კვირაში გაიმართება. ტრანსფერის ბედიც ამის შემდეგ გაირკვევა. "მანჩესტერ იუნაიტედს" კომენტარი არ გაუკეთებია. არბიტრაჟს ელოდება "ლივერპულიც". მერსისაიდელებს სიტუაციაზე გავლენის მოხდენის არავითარი ბერკეტი არ გააჩნიათ, ისევე, როგორც ჰაინცეს, რომელსაც ამბოხების შემთხვევაში, სარეზერვო გუნდში გადაყვანა ემუქრება.

ინტერვიუ ფრანკ რიიკაარდთან

რაც უფრო აგრესიულად ვთამაშობთ, უფრო სახიფათონი ვართ

რონალდინიო, ანრი, ეტოო და მესი: ისინი ძირითადში ერთად ითამაშებენ...

"ბარსელონა" მომავალი სეზონისთვის ინტენსიურად ემზადება. მოგეხსენებათ, კატალონიური გრანდი იაპონიაში იმყოფება. ფრანკ რიიკაარდს სამუშაო თავზე საყრელად აქვს. მთავარმა მწვრთნელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ახალწვეულები გუნდს კარგად შეეწყონ და "ბარსას" ტაქტიკას ალღო აუღონ. არსებულ სიტუაციაში გარკვევის მიზნით, იოკოჰამაში მყოფმა ესპანელმა ჟურნალისტმა, ოსკარ რიბოტმა რიიკაარდს ინტერვიუ ჩამოართვა.

- აზიური ტურნეთი რამდენად კმაყოფილი ხართ? ფეხბურთელები როგორ გრძნობენ თავს?

- ჩემი შეფასება ცალსახად პოზიტიურია. ვფიქრობ, ბიჭები ნაყოფიერად ემზადებიან. სეზონის დაწყებამდე სამი კვირა დარჩა. მჯერა, ამ დროში ყველა ხარვეზის აღმოფხვრას მოვასწრებთ. პრიმერა დივიზიონს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდებით.

- ისე საუბრობთ, თითქოს პრეტემპორადაში სირთულეები საერთოდ არ არსებობდეს. განა, ამდენად იოლია ახალწვეულების ინტეგრირება და მათი ბარსელონის სტილზე მორგება?

- მე არ მითქვამს, რომ ყველაფერს იოლად ვაღწევთ. შორეული მგზავრობა დაღლილობასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ შვებულებიდან დაბრუნებულ ფეხბურთელებს დიდი დატვირთვების ატანა გაუჭირდათ. პრინციპში, ეს ბუნებრივი მოვლენაა. თანდათან ის კონტურები გამოჩნდა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ.

- ახალი "ბარსელონის" შესახებ უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით? შეგირდებმა ყველაზე მეტად რითი მოგაწონეს თავი?

- დავინახე და დავრწმუნდი, რომ რაც უფრო აგრესიულად თამაშობს "ბარსელონა", მით უფრო სახიფათოა. ფეხბურთელებმა პრესინგის მოწყობისთვის აუცილებელი უნარი უნდა შეიძინონ. ამისთვის, პირველ რიგში, ფიზიკური მომზადებაა საჭირო. გულშემატკივრებს შემიძლია ვუთხრა, რომ აბსოლუტურად ყველა გულმოდგინედ მუშაობს. შესაძლოა, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ბიჭებს გულში ცეცხლი უნთიათ. გუშინწინ რესტორანში სავახშმოდ წავედით და გულახდილად ვისაუბრეთ. ისინი დამეთანხმნენ , რომ მეტი აგრესიულობა მართებთ. თუ მეტოქეებს აგრესიის მარწუხებში მოვაქცევთ, სირაქლემებივით დაიბნევიან.

- სპარინგ-მატჩებმა რა შეგძინათ? უკვე იცით, რა ტაქტიკით იასპარეზებს თქვენი გუნდი?

- ამაზე საუბარი ნაადრევია. როგორც გითხარით, სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ სამი კვირაა დარჩენილი. შესაძლოა, ეს სამი კვირა გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, პრეტემპორადა ჯერ არ დაგვისრულებია. ახლაც ინტენსიურად ვემზადებით. ამ ეტაპზე იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსელონა" შარშანდელთან შედარებით მინიმუმ ორჯერ უფრო აგრესიულად ითამაშებს. სპარინგ-მატჩებმა გამოააშკარავა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც გვქონდა. მთელ რიგ ეპიზოდებში ბავშვურ შეცდომებს ვუშვებდით, მაგრამ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

- თქვენი გუნდის მთავარი პრობლემა კოლექტიურობისა და ინდივიდუალიზმის დაპირისპირება გახლდათ. ამ მხრივ როგორი სიტუაციაა?

- "ბარსელონაში" ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებსაც ინდივიდუალისტობა არათუ უნდა აუკრძალო, პირიქით, შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად ხელი უნდა შეუწყო. თქვენს მიერ აღნიშნულმა გარემოებამ პეკინში გამართულ შეხვედრაშიც იჩინა თავი. პირველ ტაიმში არცერთი ფეხბურთელი არ ინდივიდუალისტობდა. მეორე ნახევარში კი სიტუაცია შეიცვალა და გულშემატკივრებმა ჩვენი ვარსკვლავების საუკეთესო თამაში იხილეს. სანახაობრივი თვალსაზრისით, ცხადია, მეორე ტაიმი ჯობდა, მაგრამ ამ დროს გუნდური თამაშის თვალსაზრისით მოვიკოჭლებდით. რა გაეწყობა, "ბარსელონა" სხვა არცერთ კლუბს არ ჰგავს. ჩვენს გულშემატკივრებს მხოლოდ დადებითი შედეგი არ აკმაყოფილებთ. ისინი ლამაზ ფეხბურთს ითხოვენ. კლუბის შეფებიც ცდილობენ, ისეთი ფეხბურთელები შეიძინონ, რომლებიც "კამპ ნოუზე" სპექტაკლებს დადგამენ. მაგრამ ჩემმა გუნდმა იმდენი უნდა შეძლოს, რომ სასურველ შედეგსაც მიაღწიოს. თუ ინდივიდუალიზმი შედეგს არ მოიტანს, კოლექტივიზმზე გადავერთვებით და პირიქით. შესაძლოა, ჩვენმა ვარსკვლავებმა თამაშები პირადად მოიგონ.

- ტიერი ანრიზე რას გვეტყვით? ფრანგი ვარსკვლავი გუნდს კარგად შეეწყო?

- ის უდიდესი ფორვარდია. სხვათა შორის, როცა მის თამაშს ვუყურებ, მეჩვენება, რომ დაცვაშიც არ შეირცხვენდა თავს. უნიჭიერესი ადამიანია. ბედნიერი კაცი ვარ, რომ შემადგენლობაში ტიერი ანრი მყავს. თანაგუნდელებისთვის მას ფასდაუდებელი გამოცდილების გაზიარება და მაგალითის მიცემა შეუძლია. ყველა დაინახავს, რომ მისი ძალისხმევითა და ინდივიდუალიზმით არაერთ უმნიშვნელოვანეს პაექრობას მოვიგებთ.

- ერიკ აბიდალზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- ის ბუნებისგან უხვად დაჯილდოვებული ბიჭია. ერიკს ჯერაც ყველაფერი წინ აქვს. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ მის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესოა. ახლა მთავარია, "ბარსელონის" სპეციფიკას შეეგუოს და ჩვენებური ფეხბურთი ითამაშოს.

- მოდით, ახლა რონალდინიოზე ვისაუბროთ...

- რონალდინიოზე ახალი რა უნდა გითხრათ?! ის კვლავ საუკეთესოა. გასულ სეზონში აკრიტიკებდნენ, მაგრამ დაამტკიცებს, რომ ტყუილად ლანძღავდნენ. თავად ნახეთ, როგორი შემართებით ვარჯიშობს. იმედია, ამ ყველაფერს ობიექტურად გააშუქებთ და აღარავის გაუჩნდება იმის თქმის სურვილი, რომ გაუჩოს ვარჯიში ეზარება. ახალ სეზონში ბრაზილიელზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ტიერი ანრი და ფრანკ რიიკაარდი

- ეტოოსა და ანრის ერთმანეთის კარგად ესმით?

- შესანიშნავად, თუმცა ჯერაც ბევრი რამ აქვთ სასწავლი. სწავლაში ერთმანეთის შეჩვევას ვგულისხმობ, თორემ ცალ-ცალკე, რა თქმა უნდა, სრულყოფილი ფორვარდები არიან. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, ეს დუეტი უამრავ გოლს გაიტანს და "ბერსელონას" გაჩემპიონებაში დაეხმარება. უფრო სწორად, ამ საქმეში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის.

- თქვენს მიზნებზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბროთ. მანამდე კი ერთ კითხვაზე მიპასუხეთ: რონალდინიო, ანრი, ეტოო და მესი ძირითად შემადგენლობაში ერთად თუ წარმოგიდგენიათ?

- თეორიულად თუ მივუდგებით, შესაძლოა, პრობლემა იყოს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ბევრს ჰგონია, რომ ხსენებული კვარტეტი "ბარსელონისთვის" თავის ტკივილია. მომიტევეთ, მაგრამ ამაზე სულელური მოსაზრება არ მომისმენია. ბედნიერებაა, როცა გუნდში ასეთი ვარსკვლავები გყავს. მსოფლიოში მათ ვერავინ შეედრება. თუ დავინახავ, რომ რომელიმე მათგანი კონკრეტულ შემთხვევაში დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს, შევცვლი. თუ არადა, ყველა ითამაშებს. მოკლედ, ტყუილად სკანდალს ნუ ააგორებენ.

- თქვენი აღფრთოვანების კარგად გვესმის, მაგრამ მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ოთხივე ვარსკვლავის თამაშის შემთხვევაში, ნახევარდაცვაში გაუკონტროლებელი სივრცეები გაჩნდება.

- მომეცით მარადონა და ხსენებულ ოთხეულთან ერთად, რა თქმა უნდა, მასაც ძირითად შემადგენლობაში დავაყენებ. აქ არაფერია საკამათო. პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელებს მოედანზე გასვლისა და თამაშის საშუალება უნდა მიეცეთ. აქვე ბანალურ რეალობასაც შეგახსენებთ. სეზონი გრძელია. შესაძლოა, ვინმე დაიღალოს და ძირითადში დროებით ადგილი დაკარგოს. ვარსკვლავების ყოლაზე უკეთესი არ არის (იცინის)? ზოგადსაკაცობრიო საკითხებში რომ არ გადავიჭრათ, ეს თემა აქ დავასრულოთ. მირჩევნია, ოთხი უმაღლესი დონის პროფესიონალი მყავდეს. მოკლედ, ორს ოთხი სჯობს. მორჩა და გათავდა.

- კეთილი. მაშინ სამომავლო გეგმებსაც შევეხოთ. თქვენი მიზანი ყველა ტურნირში გამარჯვებაა? შარშანდელმა სეზონმა დაგვანახა, რომ ასეთი მიდგომა ყოველთვის არ ამართლებს.

- მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ტურნირის მოგებაზე წინასწარვე უარი უნდა ვთქვათ. "ბარსელონა", რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს, რათა სეზონის ბოლოს სამი ტიტულით მოიწონოს თავი. ჩემპიონთა ლიგას, პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასს თანაბარი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით.

ილია ნიკოლაიშვილი

ვარსკვლავი

რიკელმე: დიახ, ბოკა!

ხუან რომანი ბაირესულ გრანდთან საიჯარო კონტრაქტს წელიწადით გააგრძელებს

თითქმის გადაწყვეტილია, რომ **ხუან რომან რიკელმე** მომავალ სეზონსაც "ბოკა ხუნიერსში" გაატარებს. ფანტასტიკურად ჩატარებული კოპა ამერიკის მიუხედავად, "ვილიარეალის" მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინის** მასთან თანამშრომლობის სურვილი კვლავ არ გასჩენია. რომიმ გასული კლაუსურა "ლა ბომბონერაზე" იჯარით გაატარა. "ბოკას" ის ლიბერტადორესის თასის მოპოვებაში დაეხმარა. გულშემატკივრები რიკელმეს დარჩენას თხოვდნენ, მაგრამ ხუან რომანმა განაცხადა, რომ ევროპაში დაბრუნება სურდა. "ვილიარეალის" მესვეურებმა ბევრი იმუშავეს იმისთვის, რომ არგენტინელისთვის კარგი გუნდი გამოენახათ, მაგრამ ფეხბურთელმა აბსოლუტურად ყველა ვარიანტი დაიწუნა. ამის შემდეგ ესპანური კლუბის პრეზიდენტი, **ფრანსისკო როიგი** იძულებული გახდა, კვლავ "ბოკა ხუნიორსს" დაკავშირებოდა და საიჯარო ხელშეკრულების გახანგრძლივება შეეთავაზებინა. როგორც ჩანს, რომი მიხვდა, რომ უკეთეს ცხოვრებას ვერ ეღირსება და მოლაპარაკებებში ჩართვის სურვილი გამოთქვა: *"ბოკა ხუნიორსი" ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. გასულ სეზონში ამ გუნდისთვის მაქსიმუმი გავიღე. ბედნიერი ვარ, რომ ლიბერტადორესის თასი მოვიპოვეთ. ამ დიდი წარმატების შემდეგ გადავწყვიტე, კვლავ ევროპაში მომესინჯა ძალები. ახლა ვიგებ, რომ ჩემთვის სასურველ კლუბში მოწყობა საკმაოდ რთულია. ესპანეთიდან შემატყობინეს, "ბოკაში" კიდევ ერთი სეზონით დარჩენაზე რას ფიქრობთო. სენიორ როიგს ვუთხარი, წინააღმდეგი არ ვიქნები-მეთქი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. იმედია, დეტალებს შევათანხმებთ. თუ ჩემს პირობებს დააკმაყოფილებენ, ისევ "ლა ბომბონერაზე" ვითამაშებ."*

არგენტინელი ჟურნალისტების თქმით, რიკელმე ხელფასის ერთი მილიონი ევროთი გაზრდას ითხოვს. "ბოკას" პრეზიდენტ **მაურისიო მაკრის** თანხა ეძვირება, მაგრამ არც დიდი ფეხბურთელის დაკარგვა სურს. ბაირესული გრანდის უმაღლესი ხელისუფალი დახმარებისთვის "ბოკა ხუნიორსზე" უზომოდ შეყვარებულ მულტიმილიონერ ბიზნესმენებს მიმართავს. კაცმა რომ თქვას, მათთვის მილიონი ევროს შეგროვება პრობლემა არ უნდა იყოს...

ხუან რომან რიკელმე

ლეგროტალიე ატლეტიკოში 4 მილიონად

"დიარიო მარკას" ცნობით, "ატლეტიკო" **ნიკოლა ლეგროტალიეს** ტრანსფერზე მუშობს. მადრიდელებს შესანიშნავად მოეხსენებათ, რომ "იუვენტუსს" ამ ფეხბურთელის გაყიდვა სურთ. მოარული ხმების თანახმად, **კლაუდიო რანიერიმ** ლეგროტალიეს სხვა გუნდში გადასვლა ურჩია. ნიკოლას მენეჯერს ისღა დარჩენოდა, საკუთარი კლიენტისთვის ახალი სამსახური გამოენახა. "ატლეტიკოს" მესვეურები მას თავად დაუკავშირდნენ და მოსალაპარაკებლად მადრიდში ჩასვლა შესთავაზეს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები საერთო ენას გამონახავენ, ლეგროტალიე "ვისენტე კალდერონზე" სულ რაღაც 4 მილიონ ევროდ გადავა. "იუვეს" ბოსებს ესმით, რომ 31 წლის ცენტრალურ მცველში მეტს არავინ გადაიხდის.

ვალენსიას ჟიგიჩი 12 მილიონზე მეტი არ ულირს

"ვალენსიას" "რასინგის" ცენტრალური თავდამსხმელის **ნიკოლა ჟიგიჩის** შეძენა უნდა. "ღამურებს" ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ საქმე კანტაბრიელების მგლურმა მადამ გაართულა. "რასინგმა" საუკეთესო ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო მოითხოვა. მგლური მადა აღმოაჩნდა თავად ჟიგიჩსაც. მან გადაწყვიტა, "რასინგზე" მდიდარ "ვალენსიას" სოლიდური გასამრჯელო დასცინცლოს. სერბ ფეხბურთელს წლიურად 3.8 მილიონი ევროს გამოშუშავება სურს, მაგრამ ეს მეტისმეტია. "ვალენსიის" პრეზიდენტ **ხუან ბაუტისტა სოლერს** ვაჭრობა ყელში ამოუვიდა. მან სანტანტერელებს ულტიმატუმი შეუთვალა: ღამურები ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს გადაიხდიან. "რასინგს" კი მოსაფიქრებლად ათი დღე ექნება. თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი ტრანსფერს არ დათანხმდებიან, "ვალენსია" სასურველ მოთამაშეს სხვაგან მოძებნის: *"დროა, ყველამ გაიგოს, ის ხალხი არ ვართ, ვინც ამა თუ იმ ფეხბურთელს ნებისმიერ ფასად გამოისყიდის. 12 მილიონი დიდი ფულია. სანტანდერელებმა გადაწყვეტილება მალე უნდა მიიღონ. თუ არადა, მათთან მოლაპარაკებას შევწყვეტთ."*

ბეტისის ბრაზილიური შენაძენი

"ატლეტიკო მინეიროსა" და "ბეტისის" ხანგრძლივი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. სევილიელთა პრეზიდენტმა **მანუელ რუის დე ლოპერამ** ბრაზილიელები ვილიამ ლანეშ და ლიმას ტრანსფერზე დაითანხმა. 22 წლის ლიმამ ანდალუსიელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისმა ყოფილმა კლუბმა კი კომპენსაციის სახით 8 მილიონი ევრო მიიღო. "ბეტისის" მთავარი მწვრთნელი, **ექტორ კუპერი** გარიგებით კმაყოფილი დარჩა. არგენტინელი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ ლიმა მის გუნდს სამხრეთამერიკულ ტემპერამენტს შემატებს.

რეალი. ტრანსფერები

ბალაკის საკითხი არ დახურულა

სამეფო კლუბი ბუნდესკაპიტანს ისევ შეეხმიანა, კასანოს ინგლისში უხმეს, დრენტე კი ფეიეენოორდს სასამართლოთი დაემუქრა...

მიხაელ ბალაკის "რეალში" ტრანსფერი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ორი დღის წინათ გერმანელმა თქვა, რომ "ჩელსიში" დარჩენა სურს. მისმა აგენტმა **მიხაელ ბეკერმა** კი საზოგადოებას აუწყა, სამეფო კლუბი შუამავლის მეშვეობით შეგვეხმიანა და კვლავ გარიგება შემოგვთავაზაო. ბალაკი ლონდონიდან არ წავა, თუ დღევანდელზე ნაკლებს გადაუხდიან. მისი წლიური ხელფასი 6.2 მილიონ გირვანქას შეადგენს. "რეალს" ბუნდესკაპიტანთან საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურს და 4.4 მილიონი აქვს გამზადებული. მადრიდელებს იმედი აქვთ, რომ დანარჩენ თანხას "ჩელსი" აანაზღაურებს.

"არისტოკრატებს" მსგავსი რამ ადრეც გაუკეთებიათ. როცა **ხუან ვერონმა** და **ერნან კრესპომ** იჯარით იტალიას მიაშურეს, მათი ხელფასების უმეტეს ნაწილს "ჩელსი" იხდიდა. "რეალი" ბალაკს კვირაში 85 ათას გირვანქას ჰპირდება. მოგეხსენებათ, მიხაელი 121 ათასს იღებს. ესე იგი, იჯარის შემთხვევაში "ჩელსის" 36 ათასის დამატება დასჭირდება. 36 ათასი 121 ათასზე ბევრად ნაკლებია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბალაკის გაყიდვის შემთხვევაში "ჩელსი" 10 მილიონით იხეირებს, მიხაელის ტრანსფერი მომგებიან გარიგებად შეგვიძლია დავასახელოთ. ერთი წლის წინათ "არისტოკრატებმა" ის თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიყვანეს და ერთი პენსიც არ გადაუხდიათ.

ლონდონელებს ბალაკთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებიათ. უახლოეს დღეებში "ჩელსიდან" "რეალში" გადავა **არიენ რობენი**. ბრიტანელ მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ გარიგება უახლოესი დღეების საქმეა. მათივე მტკიცებით, ინგლისური გრანდი 24 მილიონ გირვანქას მიიღებს. ბალაკის საკითხი კი, ალბათ, ამის შემდეგ გადაწყდება. მიხაელს ინგლისში არცთუ ისე წარმატებული სადებიუტო სეზონი ჰქონდა. ამიტომ საკადრო პრობლემების მიუხედავად, **ჟოზე მოურინიომ,** შეიძლება, მისი გაყიდვა მოისურვოს.

აქვე "რეალის" სხვა სატრანსფერო გეგმების შესახებ. ბალაკით დაინტერესების მიუხედავად, მადრიდელები აიაქსელ **ვესლი სნეიდერსაც** აკვირდებიან. ჰოლანდიელი ნახევარმცველი "ვალენსიასაც" სურდა. "ღამურებმა" "აიაქსს" 12 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. "რეალი" მინიმუმ 15 მილიონს გადაიხდის. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა. რამდენიმე დღის წინათ 23 წლის სნეიდერმა თქვა, რომ "აიაქსში" კიდევ ერთი სეზონით აპირებდა დარჩენას, თუმცა ესპანური გრანდის დაინტერესებამ მისი გეგმები, შეიძლება, თავდაყირა დააყენოს.

იმასაც გეტყვით, რომ "რეალის" მიერ ტრანსფერზე დაყენებულ **ანტონიო კასანოს** ინგლისში ეპატიჟებიან. "ბოლტონმა" და "ვესტ ჰემმა" თავდამსხმელს სარფიანი კონტრაქტები შესთავაზეს. კასანოს კი იტალიაში დაბრუნება სურს. იტალიურ გრანდთაგან მასთან თანამშრომლობის სურვილი არავის გამოუთქვამს. და კიდევ, ფეიენოორდის მცველი **როისტონ დრენტე** კატეგორიულად ითხოვს "რეალში" გაყიდვას. როდერდამელებს მისი გაშვება არ სურთ. ფეხბურთელი კი დირექტორებს სასამართლოში ჩივილით ემუქრება. სამეფო კლუბმა "ფეიენოორდს" 12 მილიონი შესთავაზა. როტერდამელები გარიგებას მხოლოდ 18 მილიონის სანაცვლოდ დათანხმდებიან.

მიხაელ ბალაკი

დორტმუნდის ბოსი ბუნდესლიგის

გუშინ, გერმანიის საფეხბურთო კავშირში გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა და როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებული დორტმუნდის "ბორუსიის" პრეზიდენტი **რაინჰარდ რაუბალი** გახდა. ამრიგად, 60 წლის იურისტი, რომელიც 3 წელიწადია (მას მერე, რაც BVB გაკოტრებას გადაურჩა) "ბორუსიას" ხელმძღვანელობს, ბუნდესლიგის პრეზიდენტად იქნა აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ რაუბალს კონკურენტები არ ჰყავდა, ის ერთადერთი კანდიდატი გახლდათ და თანაც, რაუბალს აბსოლუტურად ყველა კლუბის (პირველი და მეორე ბუნდესლიგიდან) წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი.

ბუნდესლიგის ვიცე-პრეზიდენტი "შალკეს" ფინანსების განმკარგველი **პეტერ პეტერსი** იქნება, მეორე ვიცე-პრეზიდენტი კი "მაინცის" ბოსი **ჰარალდ შტუტცი**, რომლის პრეროგატივაც მეორე ბუნდესლიგის მიხედვა იქნება. რაუბალმა ამ პოსტზე **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი** შეცვალა, რომელმაც თანამდებობა იანვარში, **ვერნერ ჰაკმანის** გარდაცვალების შემდეგ ჩაიბარა.

შტუტგარტის პრობლემები

გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტის" მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეეს** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. როგორც იცით, პარასკევს, ბუნდესლიგის ახალი სეზონის გახსნის მატჩში შვაბები "შალკეს" ხვდებიან. უკვე ცნობილია, რომ ფეე ამ შეხვედრაში ვერც **ილდირაი ბაშთურქს** დაიხმარს, ვერც **მატიო დელპიერს** და ვერც **გლედსონს**. პირველი ორი ტრავმირებულია, "ჰანზადან" გადაბირებული ბრაზილიელი მცველი კი დისკვალიფიცირებული გახლავთ (გერმანიის თასის პირველ ეტაპზე არასპორტული საქციელის გამო გააძევეს და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რომელიც ბუნდესლიგაზეც ვრცელდება). გარდა ამისა, საეჭვოა გუნდის ნომერ პირველი გოლეადორის, **მარიო გომესის** ასპარეზობაც. ტრავმირებულია მეორე ფორვარდი **კაკაუც**.

ჰიიპია ფულჰემში?

სემი ჰიიპია "ფულჰემში" გადასვლა სურს. ლონდონელებმა "ლივერპულს" ფინელი მცველის სანაცვლოდ მილიონი გირვანქა შესთავაზეს. მერსისაიდელებს თანხა ეცოტავათ და გარიგებაზე უარი თქვეს. ცნობისთვის, ჰიიპიათი "ნიუკასლი" და "ვიგანიცა" არიან დაინტერესებულნი. "ფულჰემმა" კი, ამასობაში, კიდევ ერთ ლივერპულელს დაადგა თვალი. მისი თავკაცი **ლორი სანჩესი** ფრანგ თავდამსხმელ **ენტონი ლე ტალეკს** ეპატიჟება. "ფულჰემის" გარდა, ეს ბიჭი ფრანგულ "სოშოსაც" სურს. მერსისაიდელები ლე ტალეკის სანაცვლოდ 2.5 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

ნასრი ინტერსაც მოუნდა

"ინტერი" მარსელისა და საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს **სამი ნასრის** ეპატიჟება. 20 წლის ნასრის "ახალ **ზიდანს**" უწოდებენ. ამ ბიჭს მადრიდის "რეალიც" ეპატიჟება. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, "რეალსა" და "მარსელს" შორის გაფორმებულია წინასწარი შეთანხმება. ნასრი მადრიდში ერთი წლის შემდეგ უნდა გადავიდეს. მაგრამ "ინტერი" მზადაა, "ოლიმპიკს" 25 მილიონი ევრო გადაუხადოს და ფეხბურთელს დღესვე იტალიაში უკრას თავი. "ნერაძურის" "მილანის" ჯიბრი არ ასვენებს. "როსონერიმ" ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ალეშანდრე პატო** შეიძინა. ნასრის "ინტერში" ჩარიცხვა პატოს ტრანსფერზე ღირსეული პასუხი იქნებოდა.

ინტერვიუ ლუდოვიკ ჟიულისთან

არ მინდა ვიფიქრო, რომ აქაც სკამზე მომიწევს ჯდომა

რომას სტილი ჟიულისთვის ზედგამოჭრილია, ფრანგი ფორვარდი სპალეტის სათამაშო იდეებმა მოხიბლა

ლუდოვიკ ჟიული

ლუდოვიკ ჟიულის სახით, "რომას" თავდასხმას მეტად საინტერესო და თვითმყოფადი მოთამაშე შეემატა. "ჯალოროსის" მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი მასზე დიდ იმედებს ამყარებს და ფიქრობს, რომ შექმნილ სიტუაციაში ჟიულის ყიდვა მისი გუნდისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. "ლიონის", "მონაკოსა" და "ბარსელონის" ექსმოთამაშე იტალიის დედაქალაქში ახალ თავგადასავალს მოტივირებული ხვდება. მას ჯერაც არ დაუკარგავს საფრანგეთში ნაკრებში დაბრუნების სურვილი, რაც რაიმონ დომენეკის ხელში, ჯერჯერობით, პრობლემატურ საკითხად რჩება. ფრანგ ფორვარდს "რომანიუსის" კორესპონდენტი შეხვდა...

- როგორია "რომაზე" შენი პირველი შთაბეჭდილებები?

- აქ თბილად შემხვდნენ. ახლავე უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ არჩევანი "რომას" სასარგებლოდ გავაკეთე. სიამოვნებით მივიღე ეს გამონვევა და მზად ვარ გამარჯვებისთვის. ჩვენი მიზანი სკუდეტოა და ვხედავ, რომ "რომას" აქვს ყველა პირობა საიმისოდ, რათა წარმატებული სეზონი ჩაატაროს.

- ჩემპიონატის კალენდარმა "რომას" არცთუ სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა. სეზონის სტარტზევე, კონკურენტებთან ერთმანეთის მიყოლებით მოგიწევთ ურთულესი მატჩის გამართვა...

- დიახ, დასაწყისი მართლაც რთული იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ სტარტს ყოველმხრივ მომზადებულები, საბრძოლო ფორმაში უნდა შევხვდეთ.

- უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ რომაული დერბი ოთხშაბათს უწევს და არა უიქენდზე. ამას რამდენად აქვს შენთვის მნიშვნელობა?

- უცნაურია. არასოდეს მინახავს, ტურის მთავარი შეხვედრები შუა კვირაში იმართებოდეს. მაგალითად, საფრანგეთსა და ესპანეთში ამ ტიპის მატჩებს შაბათ საღამოს ნიშნავენ, რათა ხელსაყრელი პირობები ჰქონდეთ იმ ქომაგებს, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ თამაშის გაცდენაც არ უნდათ. იმედი მაქვს, კალენდარში ცვლილებებს შეიტანენ. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ეს ჩვენს სტრატეგიას ვერ შეცვლის. ნებისმიერ შემთხვევაში, დერბისთვისაც და სხვა მატჩებისთვისაც, 100 პროცენტით მზად უნდა ვიყოთ.

- როგორ ფიქრობ, რა პერსპექტივები აქვს "რომას" ჩემპიონთა ლიგაში?

- უკვე მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ამ ტურნირის გამარჯვებული. გასულ სეზონში "რომას", ასე თუ ისე, თვალს ვადევნებდი და ვფიქრობ, მას აქვს შანსი, კარგად გაიაროს ეს ურთულესი გზა.

- "ბარსელონაში" მსოფლიო კლასის ვარსკვლავების გვერდით თამაშობდი. რა სხვაობას ხედავ თქვენს ძველსა და ახლანდელ თანაგუნდელებს შორის?

- რატომ? მაღალი მსოფლიო კლასის მოთამაშეები "რომაშიც" არიან: ტოტი, მანსინი, დე როსი, პეროტა... იმედი მაქვს, რომ ამ გუნდს ჩემი გამოცდილებაც გამოადგება.

- რომში ჩამოსვლის შემდეგ თქვი, რომ "ჯალოროსი" დიდი გამარჯვებების იმედით აირჩიე. ეს რწმენა ახლაც გაქვს?

- კიდევ ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, რომ "რომას" აქვს საიმისო კლასი, რომ ჩემპიონატი მოიგოს. ეს არის შანსი და ამ შანსის რეალიზებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

- მაინც, რამ ითამაშა მთავარი როლი ამ ტრანსფერში?

- "რომას" ხელმძღვანელობის სურვილმა და ჩემდამი დამოკიდებულებამ. მათ დამარწმუნეს, რომ ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ამას გარდა, გარკვეული როლი ითამაშა "რომას" სათამაშო სტილმაც. ეს ჩემთვის ზედგამოჭრილია.

- ლუჩანო სპალეტიმ ერთ-ერთ მატჩში ნახევარდაცვის ცენტრში დაგაყენა. შენ სად უფრო გიზიდავს თამაში?

- მარჯვენა გარემარბად, მაგრამ "რომაში" უკვე მარცხნივ თამაშიც მოვასწარი, ასევე უკანდახეულ ფორვარდად, ტოტის დამხმარედ. ადრე, "ლიონში" თითქმის სულ ამ პოზიციაზე ვთამაშობდი. უბრალოდ, ძველის გახსენება მომიწევს. ეს არის და ეს. ისე კი, გუნდს სადაც დავჭირდები, იქ ვითამაშებ.

- ესპანეთში თამაშობდი და, ალბათ, კარგად იცნობ სისინიოს. როგორ ფიქრობ, გამოადგება ის "რომას"?

- სიმართლე გითხრათ, მის თამაშს ნაკლებად ვიცნობ, რადგან მძიმე ტრავმა მიიღო და თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა... პოტენციალი კი ნამდვილად დიდი აქვს და მის გადმოსვლას მხოლოდ მივესალმები.

- ამბობენ, თითქოს რომში ჩამოსვლისთვის კერძო თვითმფრინავი დაიქირავე. მართალია?

- ასე იყო. მინდოდა, მალე დამესრულებინა მოლაპარაკებების პროცესი და მზადების პირველივე დღეს "რომასთან" ერთად ვყოფილიყავი.

- რა სირთულეებს შეეჯახე სპალეტისთან მუშაობისას?

- სამუშაოები დიდი მოცულობისაა, მწვრთნელი ფეხბურთელებისგან ბევრს ითხოვს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყველა სპეციალისტს თავისი ხედვა აქვს. მაგალითად, ესპანეთში ასე არ არის, იქ ფიზიკურ დატვირთვებს შედარებით ნაკლები დრო ეთმობა. საფრანგეთში კი თითქმის ანალოგიური მიდგომაა, როგორც იტალიაში. მაგრამ სპალეტიში უფრო სათამაშო იდეები მხიბლავს. მასთან მუშაობა საინტერესოა.

- რა განსხვავებას ხედავ სპალეტისა და რიიკაარდს შორის?

- ესპანეთში ფეხბურთელებს უფრო მეტი აქვთ მოქმედების თავისუფლება. იქ აქცენტი კეთდება ტექნიკაზე და არა ტაქტიკურ მომზადებაზე. მოკლედ, რიიკაარდსა და სპალეტის მუშაობის განსხვავებული სტილი აქვთ. მაგრამ მე ერთიც მომწონს და მეორეც.

- როგორია ამჟამად შენი ურთიერთობა რაიმონ დომენეკთან, რომელიც ნაკრებში შენს ადგილს კვლავაც ვერ ხედავს? და მართლია, თითქოს მის მეუღლეს SMS-ით რაღაც შეტყობინება გაუგზავნე?

- პირველი კითხვა დომენეკს უნდა დაუსვათ. ჩემი მხრიდან, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ნაკრებში დავბრუნებულიყავი... ეტყობა, არ უნდა ჩემი აყვანა, მორჩა და გათავდა. რაც შეეხება მეორე კითხვას, ჭორებზე კომენტარს არ გავაკეთებ. თუ ნაკრებში მაინც არ გამომიძახებენ, კეთილი, უფრო მეტ დროს დავუთმობ "რომას".

- როგორ ატყობ, აქვს "რომას" გამარჯვებულის მენტალიტეტი?

- ერთმნიშვნელოვნად ვამბობ, რომ აქვს. აქ აღმოვაჩინე ისეთივე საბრძოლო სულისკვეთება და გამარჯვებისკენ სწრაფვა, როგორიც მე მაქვს.

- თუ ხარ მორალურად მზად იმისთვის, რომ ყველა მატჩს სასტარტო შემადგენლობაში ვერ დაიწყებ? "რომაში" ფლანგებზე მანსინი და ტადეი თამაშობენ და ისინი ძლიერი კონკურენტები არიან...

- არ მინდა ვიფიქრო, რომ აქაც სკამზე მომიწევს ჯდომა. ესპანეთში სამი წარმატებული სეზონი ჩავატარე და "ბარსელონასთან", კონტრაქტით, კიდევ წელიწადი მქონდა დარჩენილი. იქ აღარ გავაგრძელე კარიერა იმ იმედით, რომ "რომას" ძირითადში მუდმივი ადგილი მექნებოდა. ვნახოთ...

ინტერვიუ რამონ კალდერონთან

რობენი, კაკა და ფაბრეგასი ორ წელიწადში

კაპელო ის წამალი იყო, რომელსაც ერთ წელიწადში ყველა ჭრილობა უნდა მოეშუშებინა, ახლა კი რაღაც სხვა გვინდა, უფრო ლამაზი...

ბერნდ შუსტერის მისვლით "რეალში" ახალი ეპოქა დაიწყო. მისმა წინამორბედმა ფაბიო კაპელომ მოახერხა, რომ ერთწლიანი მუშაობით სამეფო კლუბისთვის ჩემპიონის ტიტული დაებრუნებინა, რაც მან მადრიდში ადრინდელი მოღვაწეობის დროსაც (1996/97) გააკეთა. მაგრამ კაპელოს გამარჯვება არ დაუფასდა. ის "რეალიდან" უცხო სხეულივით მოკვეთეს, ამიტომ, შუსტერმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოს, პირველ რიგში ის, რომ მადრიდული გრანდის დღევანდელი ბოსი რამონ კალდერონი ავტორიტეტებს არ ცნობს და მისთვის არც უმადურობაა უცხო მოვლენა. "მარკასთან" ინტერვიუში "რეალის" პრეზიდენტი საკუთარ თავზე, კლუბის დღევანდელობასა და მომავალ გეგმებზე საუბრობს...

- სამი ტიტული ერთ სეზონში. ვინ არის ამ წარმატების მთავარი შემოქმედი: კაპელო, მოთამაშეები თუ თქვენ?

- იცით, ბედი ყოველთვის მწყალობდა. მაგრამ გასული სეზონის დაწყების წინ ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ეს პრივილეგია აღარ მქონდა... ხუმრობა იქით იყოს და, გუნდი კარგად განეწყო ჩემპიონატისთვის, გამარჯვებებს სისხლითა და ოფლით ვაღწევდით... ამისთვის ფეხბურთელებს მადლობა უნდა ვუთხრათ. ასპროცენტიანი თავგანწირვა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ფორტუნა.

- ველომრბოლები ამტკიცებენ, რომ "ტურ დე ფრანსი" სპორტსმენს ძალიან აბერებს. შეიძლება ითქვას, რომ "რეალის" პრეზიდენტის პოსტიც ასეთ არასახარბიელო შედეგს იძლევა?

- რა თქმა უნდა, სერიოზული პრობლემები გვქონდა და ნურავინ იტყვის, რომ ამ პრობლემებს იოლად გაუმკლავდებოდა. როცა ამ პოსტზე მოვდიოდი, ვიცოდი, რასთან მექნებოდა საქმე. ამასწინათ, გამოკვლევა ჩავიტარე და შემიძლია ვთქვა, რომ ჯანმრთელობას არ ვუჩივი.

- ...და წამლებიც არ გჭირდებათ?

- "მალიორკასთან" ბოლო მატჩის წინ, რომელშიც ჩემპიონობის ბედი წყდებოდა, დამამშვიდებელი მივიღე. ფეხბურთი ძლიერი ემოციაა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. ასეთ დროს, თავის დაზღვევაა საჭირო.

- კარგად გძინავთ?

- შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ძალიან კარგად. დღეში ექვსი საათი ძილი ჩემთვის აბსოლუტურად საკმარისია.

- ერთხელ თქვით, რომ "რეალისთვის" შეგიძლიათ ბოლომდე დაიხარჯოთ...

- ...და ასეც ვაკეთებ. მაგრამ ახლა გადავწყვიტე, ცოტა ტემპი დავაგდო. ვფიქრობ, მძიმე სეზონის შემდეგ მცირე განტვირთვა მეც დავიმსახურე. ნერვული უჯრედების აღდგენა არ ხდება, ამიტომ, ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდე.

- თქვენი საადვოკატო კანტორა დახურეთ?

- არა, ახლა საქმეებს ჩემი ქალიშვილი უძღვება. ვიცოდი, რომ ერთდროულად ორ რთულ საქმეს ვერ შევეჭიდებოდი. ესეც არ იყოს, დღეს ნამდვილად აღარ ვოცნებობ მულტიმილიონერობაზე, როგორც ერთ დროს. სხვათა შორის, ბიზნესი ჩემს მეუღლესაც აქვს. ასე რომ, არ გვიჭირს (იცინის).

- რა გრძნობების ტყვეობაშია სამეფო კლუბის პრეზიდენტი?

- კმაყოფილებას, სიამაყესა და პატივს... იმიტომ, რომ მე ვარ მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული კლუბის პრეზიდენტი!

- უკვე შეგიძლიათ, თქვენი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდი შეაჯამოთ?

- მოდით, კიდევ ერთი წელიწადი მოვიცადოთ. ვფიქრობ, ახალი სეზონი ჩვეულებრივი არ იქნება. ახლა "რეალში" 20 ლეგიონერი, 11 ადგილობრივი და 9 ახალგაზრდული გუნდის მოთამაშეა. მათი საშუალო ასაკი 24 წელია. ახლა, "რეალი" თავისი ისტორიის მეტად საინტერესო ეტაპს გადის.

- გადადგომაზე არასოდეს გიფიქრიათ? კლუბში მუშაობით ხომ ბევრ ფულს გამოიმუშავებთ...

- ნებისმიერს, ვინც უკვე 30 წელიწადი იმუშავა, შეუძლია, თავი დაანებოს ამ სამუშაოს, მათ შორის მეც. მამაჩემმა, რომელიც ძალიან მიყვარდა, ფაქტობრივად, არაფერი დამიტოვა. მე თავად დავდექი ფეხზე და დღემდე ასე მოვედი. დარწმუნებული ვარ, ამას ჩემი შვილებიც შეძლებენ. მაქვს საბანკო ანგარიშებიც და აქედან დივიდენდებს ვიღებ.

- ამის გამო თქვენ ხშირად გაკრიტიკებენ...

- ვიცი. მტრები არასოდეს მაკლდა. დასამალი არაფერი მაქვს. იურისტად ვმუშაობდი და ამით შევქმენი გარკვეული დანაზოგი. მერე ამ ფულით სერანოს ქუჩაზე ლამაზი სახლი და ოფისი ვიყიდე.

- როგორც "რეალის" პრეზიდენტს, რაიმე ბიზნესში მონაწილეობას არ გთავაზობდნენ?

- დიახ, ამასწინათ ერთ-ერთი უცხოური კომპანიიდან დამიკავშირდნენ. მათ ესპანეთში საქმის დაწყება სურთ. შესაბამისი ორგანიზაციის მისამართი მივეცი, რადგან ახლა ბიზნესისთვის არ მცალია... და ეს არც შედის ჩემს გეგმებში.

- კარგით, ახლა საფეხბურთო თემებზე გადავიდეთ. შუსტერთან ხშირი კონტაქტი გაქვთ?

- ყოველდღიური. ის საკმაოდ სიტყვაძუნწია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ "რეალში" თავს ჩინებულად გრძნობს.

- მოთამაშეები?

- რაულს ველაპარაკე. მან მითხრა, რომ გუნდში ჯანსაღი კლიმატია. ჩემი მხრიდან კი, ერთხელაც გავუმეორე, რომ ის კლუბის სიმბოლოდ მიმაჩნია. შუსტერს კარგად ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, როცა გუნდის კაპიტანი ადგილობრივი ფეხბურთელია. ვიტყოდი, რომ ზოგადად ეს კლუბის დონის მაჩვენებელიცაა. ძალიან მინდა, რომ "რეალმა" დაიბრუნოს თამაშის საფირმო სტილი, რომელიც ბოლო პერიოდში დაკარგა.

- რა დატოვა კაპელომ?

- ფაბიომ გუნდი დისციპლინას შეაჩვია, დაუბრუნა მოთამაშეებს საკუთარ ძალებში რწმენა და იმის შეგრძნება, რომ გუნდში მთავარ როლს ფეხბურთელები თამაშობენ და სხვა არავინ.

- ფლორენტინო პერესს უყვარდა ხოლმე თქმა, რომ მის განკარგულებაში 125 ათასი მუშაკია, რომელთაგან 22 მადრიდელი ერთმანეთში ყველაზე ხშირად ჩხუბობს...

- ფეხბურთელები ახალგაზრდები არიან, მათ სისხლი უჩქეფთ და ამიტომ, ეს ყველაფერი სრულიად გასაგებია. მაგრამ როცა საჭიროა, ყველა ერთ მუშტად იკვრება, რადგან აქ პროფესიონალები თამაშობენ.

- ...და მომავალში არანაირი ქორწილი პარიზში (როცა რონალდომ საფრანგეთის დედაქალაქში იქორწინა - ავტ)?

- ამ ისტორიამ ხალხში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მაგრამ ამგვარ სიტუაციებში მე უფრო მოქნილი ვარ. ისე კი, გარკვეული საზღვრები ყოველთვის არსებობს...

რამონ კალდერონი

- ჯერჯერობით, დანაპირები ვერ შეასრულეთ: "რეალში" არც კაკაა, არც რობენი და არც ფაბრეგასი...

- დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მმართველობის მესამე წელს ისინი "რეალში" იქნებიან. შეიძლება, ჩვენ ძალიან გვინდოდეს ესა თუ ის ფეხბურთელი და მასში დიდ ფულსაც ვიხდიდეთ, მაგრამ მას არ უნდოდეს ჩვენთან თამაში. რას ვიზამთ, ასეთებიც ხდება. ამ შემთხვევაში ჩვენ ძალადობას ვერ მივმართავთ.

- ანუ, რობენი ახლა, ფაბრეგასი ერთი წლის შემდეგ და ბოლოს კაკაც?

- ვფიქრობ, ასეც იქნება. თუმცა არც ის მინდა, რომ გულშემატკივრები უსაფუძვლოდ დავაიმედო.

- რას ელოდებით შუსტერისგან?

- მან ყველაფერი იცის "რეალზე" და ისიც იცის, როგორ უნდა მართოს დიდი მოთამაშეები. მას აქვს ყველა ის თვისება, რაც სამეფო კლუბის მწვრთნელს მოეთხოვება. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ გერმანელი გამოგვადგება. თუ გნებავთ ჩვენი დღევანდელი შემადგენლობის ბრწყინვალება შეაფასოთ, გაიხსენეთ ის სეზონი, როცა პერესმა კლუბი დატოვა. ის წავიდა იმიტომ, რომ ვერ მოერია ქაოსსა და კატასტროფულ შედეგებს. დღეს კი გუნდში დიდებული მოთამაშეები გვყავს. არაფერს ვიტყვი ტიტულებზე, მაგრამ ქომაგებს კი შევახსენებ, რომ მარტო იმიტომ ღირს სტადიონზე მოსვლა, რათა ეს ფეხბურთელები ნახონ.

- ეჭვობდით, რომ კაპელოს ხელში გუნდი უსახურად ითამაშებდა, თუ ეს თქვენთვის სიურპრიზი იყო?

- ეს მისი ფეხბურთია. მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ეს მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ახლა რაღაც უფრო მეტი გვინდა...

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ კაპელოს გაშვების გადაწყვეტილება ემოციებზე დაყრდნობით მიიღეთ?

- ეს აზრი რამდენიმე ადამიანისგან გავიგე. მათ კაპელოს წასვლა არ უნდოდათ. ისინი ამბობდნენ, თითქოს კაპელომ მე დამიცვა, მაგრამ მე არავისგან დაცვა არ მჭირდება. გაგახსენებთ, რომ თებერვალში, როცა ფაბიოს ძალიან გაუჭირდა და ქომაგები მის გაშვებას ითხოვდნენ, გადავწყვიტე, სეზონის ბოლომდე მომეცადა და ამით მწვრთნელს მხარი დავუჭირე. ასე რომ, ვინ ვინ დაიცვა, ეს კიდევ საკითხავია... სეზონის ბოლოს კი დავინახე, რომ "რეალის" თამაში არ შეცვლილა. რადიკალური გადაწყვეტილება უბრალოდ აუცილებელი იყო. გახსოვთ ბოლო მატჩი? მაშინ, ისიც გაიხსენეთ, ემერსონისა და დიარას უსახური თამაშის შემხედვარე პუბლიკა როგორ სკანდირებდა - "გუტი! გუტი"! აღარ მინდა ახლა მწვრთნელის გაკრიტიკება, განეული სამუშაოსთვის მას მხოლოდ მადლობას გადავუხდი.

- ის კი მადლობელი იქნება იმ ფულისთვის, რასაც კონტრაქტის გაწყვეტის გამო გადაუხდით. ეს ძალიან დიდი თანხაა...

- ჰმ, საჩემპიონო ზეიმის დროს მესმოდა, რომ ვიღაც-ვიღაცები კაპელოს უსტვენდნენ, მაგრამ ამ ხმებს სიხარულის ხმაური ახშობდა. დარწმუნებული ვარ, ქომაგები კაპელოსეულ სტილს კიდევ ორ წელიწადს ვეღარ მოითმენდნენ. მათ მიიღეს ფაბიო ერთი წლის განმავლობაში, როგორც წამალი, რომელიც თავისი სიმწარის მიუხედავად, ძალიან სასარგებლოა. ამ წამლით ჩვენ ჭრილობები მოვიშუშეთ, ჩემპიონები გავხდით და ახლა გადავწყვიტეთ, გულშემატკივრებს ისევ ჯანმრთელი და ლამაზი "რეალი" ვუჩვენოთ.

- არ გაოცდით, როცა გაიგეთ, რომ მცველი პეპე 30 მილიონი ევრო ღირდა?

- ჩვენ არჩევანი პეპესა და კივუს შორის უნდა გაგვეკეთებინა. და სიმართლე გითხრათ, გაგვიმართლა, პორტუგალიელი მცველი ამ ფასად რომ ჩავიგდეთ ხელში. ვინმეს ამ გარიგებაზე წინასწარ რომ გაეგო, პეპეს ფასი კიდევ უფრო გაიზრდებოდა. სამწვრთნელო შტაბი ერთ აზრზეა იმაში, რომ პეპე ბრწყინვალე მოთამაშეა. მისი სახით, ჩვენ მომავლის ინვესტიცია გავაკეთეთ.

- "რეალი" მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი და შემოსავლიანი კლუბია?

- მე ვიტყოდი, რომ ერთ-ერთი კი არა, ყველაზე მდიდარი. ამ წელს ჩვენმა შემოსავალმა 83 მილიონი ევრო შეადგინა, მაგრამ ეს გადასახადების ჩაუთვლელად. სუფთა შემოსავალი კი 66 მილიონია, ანუ საუკეთესო მაჩვენებელი "რეალის" ისტორიაში. მომავალი სეზონისთვის ვგეგმავთ, შემოსავალი 100 მილიონამდე გავზარდოთ და ამის ყველა წინაპირობა არსებობს. არავის სჯეროდა, რომ პერესის დროინდელ მაჩვენებელს შეეწვდებოდით. ჩვენ კი არა მხოლოდ გადავფარეთ ის, არამედ გავაორმაგეთ კიდეც.

- მაგრამ შარშან აპრილში ამბობდით, რომ "რეალის" ვალი 425 მილიონ ევროს შეადგენდა...

- არა, არა. ახლა ჩვენი ვალი 250 მილიონი ევროა. 140 მილიონი სუპერთანამედროვე საწვრთნელი ბაზის მშენებლობაში დავხარჯეთ, 120 მილიონიც "სანტიაგო ბერნაბეუსთვის". აი, სულ ეს არის ჩვენი ვალი, რომლის გასტუმრება "რეალისთვის" პრობლემას არ წარმოადგენს.

- გააფრთხილებთ წინასწარ ხოან ლაპორტას, თუ "ბარსელონის" რომელიმე მოთამაშის ყიდვას გადაწყვეტთ?

- რა თქმა უნდა.

- და როგორ გააკეთებთ ამას?

- როცა გავრცელდა ხმები ინიესტათი "რეალის" დაინტერესების შესახებ, ლაპორტა დავარწმუნე, რომ მის ზურგსუკან მოლაპარაკებებს არ გავმართავდით. ვიცი, რომ ისიც ასე მოიქცეოდა. მაგრამ თუ რომელიმე ფეხბურთელს თავად სურს ჩვენთან გადმოსვლა და "რეალიც" დაინტერესებულია ამაში, ეს უკვე სხვა თემაა. მაშინ, ლაპორტას ვეტყოდი: "აი, ხოან, ასეთი სიტუაციაა. რა ვქნათ"?

- თუ ინიესტას მართლაც იყიდით, ფაბრეგასს შეეშვებით?

- შუსტერის სიტყვებს გავიმეორებ: თუ რომელიმე ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება გსურს, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ის შენს მოთამაშეებს ჯობია. შუსტერს კი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელების, დე ლა რედისა და გრანეროს ძალიან დიდი იმედი აქვს. რატომ არ შეიძლება, ისინი ჩვენი გვარდიოლა, ინიესტა და ჩავი გახდნენ?

ინგლისის ნაკრები

მაკლარენი ვეტერანების იმედად

კემპბელი და ჯეიმსი, შეიძლება, ნაკრებში დაბრუნდნენ

ინგლისის ნაკრების თავკაცი **სტივ მაკლარენი** "პორტსმუთის" ორი ვეტერანის გამოძახებას აპირებს. გერმანიასთან 22 აგვისტოს ამხანაგური მატჩისათვის ეროვნულ გუნდში შეიძლება ვიხილოთ **სოლ კემპბელი** და **დევიდ ჯეიმსი**.

32 წლის კემპბელს ნაკრებში შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ უთამაშია, სამაგიეროდ, შთამბეჭდავი სადებიუტო სეზონი ჩაატარა "პორტსმუთში". გერმანიასთან შეხვედრის წინ ინგლისელებს სერიოზული პრობლემები აქვთ. დაშავებულია სამი ცენტრალური მცველი - **ჯონ ტერი, ლედლი კინგი** და **ჯონათან ვუდგეიტი**. **ჯეიმი კარაგერმა** საერთაშორისო კარიერა დაასრულა. ასე რომ, კემპბელს არა მხოლოდ ნაკრებში დაბრუნების, არამედ ძირითადში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

რაც შეეხება 37 წლის ჯეიმსს, "პორტსმუთის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** მას დღემდე საუკეთესო ინგლისელ მეკარედ მიიჩნევს. მაკლარენი უპირატესობას ტოტენჰემელ **პოლ რობინსონს** ანიჭებს, თუმცა ჯეიმსის გამოცდილებაც აუცილებლად დასჭირდება. შემადგენლობის დასახელებამდე მაკლარენი "პორტსმუთი"-"მანჩესტერის" მეორე ტურის მატჩს დაესწრება. შეხვედრა 15 აგვისტოს "ფრეტონ პარკზე" უნდა გაიმართოს.

გერმანიასთან თამაში გენერალური რეპეტიცია იქნება სექტემბრის ორი საკვალიფიკაციო შეხვედრის წინ ისრაელისა და რუსეთის ნაკრებებთან. ორივე მატჩი უემბლიზე გაიმართება. ისრაელიცა და რუსეთიც ინგლისის კონკურენტები არიან. ქულათა მაქსიმუმის დაგროვების შემთხვევაში, მაკლარენის შეგირდები საგრძნობლად გაიუმჯობესებენ სატურნირო მდგომარეობას. შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ინგლისს მისთვის შეუფერებელი მეოთხე ადგილი უკავია. ზემოთ ჩამოთვლილი ორი ნაკრების გარდა, მას ხორვატიაც უსწრებს.



სოლ კემპბელი

ურუგვაელი მეკარე არსენალში?

"არსენალი" ახალგაზრდა ურუგვაელი მეკარით, **ფერნანდო მუსლერით** დაინტერესდა. 21 წლის გოლკიპერი მონტევიდეოს "ნასიონალში" თამაშობს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მან საგრძნობლად მოუმატა და წამყვანი ევროპული კლუბების ყურადღება მიიპყრო. მუსლერს "ინტერი", "იუვენტუსი" და "ბენფიკა" ეპატიჟებიან. "არსენალი" ამ კონკურენციაში ჩაბმას აპირებს. იმასაც გეტყვით, რომ "მეთოფეები" "შატორუში" გაანათხოვრებენ 16 წლის თავდამსხმელს **ჟილ სუნუს**. **არსენ ვენგერმა** ეს ბიჭი ერთი თვის წინათ შეიძინა. სუნუს საფრანგეთში ის აუცილებელი სათამაშო პრაქტიკა ექნება, რომლითაც ლონდონში ვერავინ უზრუნველყოფს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ივლისი ქართული კალათბურთისთვის მნიშვნელოვანი თვე იყო - ჯერ ახალგაზრდულმა ნაკრებმა ივაუკაცა, შემდეგ - კადეტთა გუნდმა და დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ ასაკში ევროპის უძლიერეს 16 ნაკრებს შორის ქართველების ადგილიც არის.

ივლისში

ვიდრე კადეტები ევროპის ჩემპიონატებზე წავიდოდნენ, ბევრი ვერც იმას იტყოდა, A დივიზიონში ადგილს აუცილებლად შეინარჩუნებენო. გამოგიტყდებით, მწვრთნელ **მიხეილ კობეშავიძისადმი** დიდი პატივისცემის მიუხედავად, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ 16-წლამდელები B ლიგაში გასავარდნ ბოლო ორ ადგილს თავს ვერ დააღწევდნენ. საამისოდ რამდენიმე მიზეზი მქონდა:

პირველ ჯგუფურ ეტაპზე კადეტებს იტალიის, ესპანეთისა და სლოვენიის ბარიერი ჰქონდათ გადასალახი. რაც უნდა კარგად მომზადებული გუნდი გვყავდეს, ამ სამ გრანდთან მაინც აუტსაიდერებად ჩავითვლებით. ჯგუფში ბოლო ადგილის დაკავებას გასავარდნ ოთხეულში თამაში მოჰყვებოდა და იქაც არ ჩანდა ნათელი პერსპექტივა - ფთხგუნდიანი ჯგუფიდან ორი მაჩანჩალა B ლიგაში ვარდებოდა.

მეორე მიზეზი, რაც სკეპტიციზმს აძლიერებდა, ის იყო, რომ გუნდი პირველად ივნისში შეიკრიბა და ბიჭებმა ერთმანეთის გვერდით მხოლოდ შავი ზღვის თამაშები ჩაატარეს. ევროპის ჩემპიონატზე არ წასულა კადეტთა ნაკრების ორი ლიდერი **ნიკა მეტრეველი** და **გიგი ბარბაქაძე**. წინასწარ პრეს-კონფერენციაზე თავად მწვრთნელებიც თავს იკავებდნენ პროგნოზისგან - მხოლოდ ერთს ამბობდნენ, ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთო.

ასეთი უიმედო გაცილების შემდეგ მიხეილ კობეშავიძის შეგირდებმა საოცრებები მოახდინეს: სლოვენიელებს კუდით ქვა ასროლინეს, ხოლო მეორე ჯგუფურ ეტაპზე ისრაელი დაამარცხეს. შესაბამისად, A ჯგუფში ადგილი შეინარჩუნეს და გაისად 1992 წლიანებიც ევროპის ჩემპიონატზე იასპაეზებენ.

კადეტები ევროპის ჩემპიონატზე

ეს მინიმუმი იყო!



საქართველო-სერბეთი. ბურთით აკაკი დვალიშვილი

მიხეილ კობეშავიძე

...კი მაგრამ, როგორ?

აქამდე გესაუბრეთ ევროპის პირველობაზე მიმავალი 16-წლამდელების განწყობასა და კრეტაზე ნაჩვენებ კარგ შედეგზე, მაგრამ მთავარი არ გვითქვამს! გაგიკვირდებათ, ამაზე მთავარი რაღა უნდა იყოს - ერთი თვის გაცნობილმა კალათბურთელებმა სლოვენიელ და ებრაელ თანატოლებს აჯობესო. მაგრამ გეტყვით - მიხეილ კობეშავიძის ნაკრებმა ქართულ კალათბურთში გადატრიალება მოახდინა: მის გუნდში არცერთი გადაზრდილი არ თამაშობდა!

ნატურალური ასაკის კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე წაყვანამ, შეიძლება ითქვას, თვალი აგვიხილა: დავინახეთ, რომ ბავშვებში მუშაობა ჯერაც დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ნიჭიერების მხრივ, ევროპის 10-12 ქვეყანას შორის ვართ.

ჭაბუკად ძცეული კადეტები

მომავალი ზაფხულის პერსპექტივებზე კი ვისაუბრეთ, მაგრამ არ გვითქვამს, რა ელით 1991-იანებს, რომლებიც გაისად 16-წლიან ზღვარს გადააბიჯებენ. წლევანდელ გუნდში ერთადერთი 92-იანი იყო, **მერაბ ბოქოლიშვილი,** რომელიც კადეტებს 2008 წელსაც დაეხმარება. დანარჩენი 11 ახალგაზრდა კი სამი წლით უსაქმოდ დარჩება, თუ ჭაბუკთა ნაკრები არ შეიქმნა. სწორედ ასეთი ბედი ეწიათ 1987 წელს დაბადებულებს, რომლებმაც 2002 წელს კადეტთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ითამაშეს და 2007-მდე მოუწიათ ცდა. სწორედ საერთაშორისო გამოცდილების არქონა იყო **დავით უსტიაშვილის** ახალგაზრდული ნაკრების მთავარი პრობლემა. 1987-წლიანებს წინა წლებში 18-წლამდელთა გუნდში რომ ეთამაშათ, იტალია-სლოვენიის ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 16 ნაკრებს შორის მეთოთხმეტეზე არ გავიდოდნენ...

ასე რომ, თუ ქართველების რეალური შესაძლებლობების დანახვა გვინდა, ევროპას ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ და ნაკრები სამივე ახალგაზრდულ ასაკში შევქმნათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ 2008 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში (იგივე B დივიზიონში) 18-წლამდელებიც ითამაშებენ, A ლიგისა და ევრო-2009-ის საგზურს აუცილებლად მოიპოვებენ.

არც ეს სიტყვებია ნათქვამი გადამეტებით: გაისად ჭაბუკთა ნაკრებში 1990-91 წელს დაბადებულები მოხვდებიან. მათგან ზოგი წლევანდელი კადეტთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე იქნება, რომლებსაც იტალიური "მონტეპასკიდან" **ნიკა მეტრეველი** დაემატება, "ბარსელონადან" - **კოკა ტომარაძე,** ასევე ესპანური "არონადან" - **გიორგი შვანგირაძე** და **გრიგოლ ხანიაშვილი,** ლიტვის "აკადემიადან" - **ნოდარ შენგელია**... ასეთი შემადგენლობა, არათუ B ლიგიდან A -ში გადასასვლელად, არამედ ევროპის ჩემპიონატის ათეულში შესასვლელადაც საკმარისია, მაგრამ დროულად შეკრება და შეთამაშება სჭირდება.

ვაჟა სიმონიშვილი

ვირტუალური კალათბურთი ბორის დიაოსთან

გაცნობის დღე

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ **ნიკა მეტრეველი** და **კოკა ტომარაძე** საფრანგეთში დაგეგმილი NBA-ს კემპზე გაეშურნენ. ახლა კი საზაფხულო ბანაკის პირველი დღის ამბებს მოგითხრობთ.

50 ევროპელი ჭაბუკი ფინიქსელ **ბორის დიაოს**, სან ანტონიოელ **ტონი პარკერსა** და NBA-ს სხვა ვარსკვლავებს საუზმისას შეხვდა. პატარა და დიდი ვარსკვლავები მაგიდას ერთად მიუსხდნენ და დღის მეორე ნახევარიც ერთად გაატარეს.

პირველი დღე გაცნობითი ხასიათისა იყო, ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, ოკეანის გაღმიდან ჩამოსულებთან სხვადასხვა საკითხზე ესაუბრეთ და მათთან ერთად ეთამაშათ... უფროს-უმცროსნი კომპიუტერს მიუსხდნენ და კალათბურთის ვირტუალური ჩემპიონატი ჩაატარეს. ფინალისტს საშუალება მიეცა, ამხანაგურად ბორის დიაოს გაჯიბრებოდა და დაემარცხებინა. სამწუხაროდ, ფინალამდე ვერც კოკა ტომარაძემ მიაღწია და ვერც ნიკა მეტრეველმა. თუმცა კომპიუტერის კალათბურთსა და ნამდვილს შორის დიდი სხვაობაა. პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში კალათბურთი კემპის მეორე დღეს გაჩაღდება - NBA-ს წარმომადგენლები ჭაბუკებს გაიყოფენ და ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. იმედი დავიტოვოთ, რომ კოკაცა და ანიკაც ისევე წარმატებით ითამაშებენ, როგორც ითამაშა ორი წლის წინათ - **გიორგი გაფრინდაშვილმა**, რომელიც ტრევიზოში ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

შედომაა: სპორტის სასახლე, სწორია: ლაშას სასახლე

სამსურის წაკითხვისას მაშინვე გაგიჩნდებათ კითხვა: ვინ არის ლაშა? **ლაშა ხუციშვილი** სპორტის სასახლის ახალი დირექტორია. სწორედ მისი მეთვალყურეობით მიმდინარეობს შენობის რემონტი.

დავამატებთ, რომ ლაშა ხუციშვილი ის კაცია, რომლის მითითებით ორი თვის წინათ ჩვენს ფოტოკორესპოდენტ **ალექსანდრე კოტორაშვილს** დარბაზში გადაღებული ყველა ფოტო წაუშლევინეს. სპორტის სასახლის დირექტორი გუშინაც უპატივცემულოდ მოგვექცა: თვითონ დაგვემალა, სასახლის დაცვამ კი დირექტორის გარეშე შენობაში არ შეგვიშვა!

ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ბატონი ლაშას მოქმედებაში ლოგიკა ვერ დავინახეთ: თუ სარემონტო სამუშაოების პრესით გაშუქება არ სურს, მაშინ ახსნას - რატომ. თუ "ლელოსთან" აქვს პრეტენზია, ესეც გვითხრას, ხოლო თუ ვერ აცნობიერებს, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოს მთავარი დარბაზის რეკონსტრუქციის სპორტული მასმედიით გაშუქება საჭიროა თუ არა, მაშინ სპორტის სასახლის დირექტორად რატომ მუშაობს?

პიროვნულად ბატონ ლაშას სანინააღმდეგო არაფერი გვაქვს, უბრალოდ, სპორტისადმი მისი უპატივცემულობა ინვევს აღშფოთებას. ზემოთ ზმნა "დამალვა" გადატანითი მნიშვნელობით არ გვიხმარია:

გუშინ, დილის 11 საათზე სპორტის სასახლეს ფოტოკორესპონდენტთან ერთად ვესტუმრეთ. დაცვის წარმომადგენელს დირექტორთან დაკავშირება ვთხოვეთ. მან გვითხრა - ბატონი ლაშა ტერიტორიაზეა და ცოტა ხნით გარეთ დაელოდეთ, თან შესასვლელთან მყოფ, ალბათ, ბრიგადირს სთხოვა - იქნებ დირექტორს გადაურეკოთო. როცა ბატონმა ლაშამ შეიტყო, რომ გაზეთ "ლელოდან" ველოდით, თანამშრომელს უთხრა - ობიექტიდან გასული ვარ და არ ვიცი, როდის დავბრუნდებიო.

ამის შემდეგ დირექტორთან დაკავშირება თავად ვცადეთ, მაგრამ, როგორც წინა დღეს, ტელეფონს არც ამჯერად უპასუხა. ამასობაში, ეზოში მყოფმა ერთ-ერთმა პიროვნებამ თქვა - ბატონი ლაშა ხომ ზემოთ არისო...

... აბა დამალვა სხვა რა არის?!

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სპორტის სასახლეში მედიელთა შეშვებას არ აპირებენ და 25 აგვისტოს საქართველო-ავსტრიის მატჩი ჟურნალისტების გარეშე ჩაივლის. თუმცა ისიც საკითხავია - კალათბურთელებს გაუღებენ კარს?

მართალია, სასახლეში ფეხი არ შეგვადგმევინეს, მაგრამ მაინც გავიგეთ, რომ 25-ში საკალათბურთო მატჩი სპორტის სასახლეში აუცილებლად გაიმართება. ამ ღონისძიებისთვის რემონტს დროებით შეაჩერებენ. ისიც გავიგეთ, რომ ახალთახალი, ევროსტანდარტების ტაბლო უკვე დამონტაჟებულია, იატაკი დაგებულია, განათება გამოცვლილი და პირველი იარუსის სკამები - აყრილია. 25 აგვისტომდე ქვემოთ ახალი სკამები დამონტაჟდება, ხოლო სანაკრებო მატჩების შემდეგ მეორე იარუსიც მთლიანად განახლდება.

ბოლო აბზაცში რაც წაიკითხეთ, სწორედ ამის დასაწერად მივედით გუშინ, სპორტის სასახლეში, თან ერთ-ორ ფოტოსაც დავურთავდით... მაგრამ უკვე მეორედ გვაიძულეს, რეკონსტრუქციის გაშუქების ნაცვლად მედიის შეურაცხყოფაზე გველაპარაკა.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

წაგება პირველ წრეში

რუსეთის დედაქალაქში დაიწყო "მოსკოვის თასის" გათამაშება ჩოგბურთში, ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. განთესილთა შორის 18 წლის **სოფიო შაფათავა** იყო, რომელიც მსოფლიოს 608-ე ჩოგანია. ორგანიზატორებმა შაფათავა მე-8 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მისი მეტოქე 16 წლის **ქსენია პერვაკი** (620) იყო. პირველი სეტი ქართველმა ჩოგბურთელმა ტაი-ბრეიკზე 7:4 მოიგო, მეორეში თანაბარი ბრძოლაში მასპინძელმა იმარჯვა, შემდეგ კი ახალგაზრდა რუსის უპირატესობა აშკარა იყო - 7:6, 4:6, 1:6. ქსენია პერვაკი ახალგაზრდულ რეიტინგში მერვე ჩოგანია. სოფიო კვლავ მოსკოვში რჩება, ის ყირგიზ **ქსენია პალკინასთან** (487) დუეტში წყვილთა თანრიგის ბადეში მეორე ნომრადაა განთესილი.

გუშინ მსოფლიოს ახალგაზრდული (18-წლამდელთა) რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. გოგონებში 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** კვლავ მე-20 ადგილზეა. **ეკა გორგოძე** 590-ე ადგილზეა, **ანა ჯიქია** კი - 764-ეზე. ბიჭებში 143-ე პოზიციაზეა **ლაზარე კუხალაშვილი**, 475-ეა **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, მას ათი ადგილით ჩამორჩება **გიორგი ჭანტურია**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თეძრილი

ანატოლი კრავჩენკო 70 წლისაა

მას შემდეგ, რაც საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის პიონერებმა **რევაზ მანჯავიძემ, ანატოლი პევცოვმა** და **ივანე მიხაილიცკიმ** 1955 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვეს, პევცოვი კი პირად ჩათვლაში მესამე პრიზიორი გახდა, სპორტის ამ სახეობას უმალვე გამოუჩნდნენ მიმდევრები თბილისში. მათ შორის იყო **ანატოლი კრავჩენკო**.

კარგად მახსოვს, 1955 წლის ნოემბერი. "დინამოს" სტადიონის საფარიკაო დარბაზთან შევიკრიბეთ **გურამ კალმახელიძე, დენის სახვაძე, ოლეგ გერასიმენკო**, ანატოლი კრავჩენკო და ამ წერილის ავტორი. მაშინ, 18-20 წლისანი ვიყავით. ჩვენ ყველანი სპორტის სხვადასხვა სახეობიდან მოვედით. ანატოლი კრავჩენკო ჩვენ შორის გამოირჩეოდა იმით, რომ მას ბრწყინვალე მომზადება ჰქონდა ცხენოსნობაში. საქართველოში ლეგენდარული ცხენოსნის **ცეკვე ძიძიგურის** მოსწავლეთა შორის ითვლებოდა. ცურვითაც იყო გატაცებული. ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენი მალე გახდა ერთ-ერთი საუკეთესო ხუთჭიდელი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სსრ კავშირშიც. პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა 1958 წელს - ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე ოქროს მედალი დაიმსახურა, პირად ჩათვლაში კი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. იყო საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონი, ბრწყინვალედ ასპარეზობდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, როგორც საქართველოს, ისე "სპარტაკისა" და "დინამოს" საკავშირო ნაკრებებში.



ანატოლი კრავჩენკო

1964 წელს, "დინამოს" საკავშირო ნაკრებში ლეგენდარულ **იგორ ნოვიკოვთან** და თბილისელ **იური მურომცევთან** ერთად კრავჩენკო ბერლინის საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრებოდა, მაგრამ წინა დღეს ფეხის ტრავმა მიიღო. განკურნებული სპორტს კვლავ დაუბრუნდა, თუმცა დროებით. ამის შემდეგ გამოცდილი სპორტსმენი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, ხუთჭიდელთა ცხენოსნობაში მომზადება დაეკისრა. ორგანიზატორული ნიჭიც გამოავლინა და "დინამოს" საცხენოსნო ბაზაც ჩააბარეს. მისი დამსახურება იყო, რომ დინამოელი ხუთჭიდელები ცხენოსნობაში მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ. ამიტომაც მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ანატოლი კრავჩენკო დღეს 70 წლისაა. საუკეთესო სურვილებით ვულოცავ ვეტერან კოლეგას და ბრწყინვალე პიროვნებას საიუბილეო თარიღს.

სულიკო როგავა,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,
სპორტის დამსახურებული მუშაკი

ჩოგბი

მსოფლიო თასი

ანრი ბრონკანი უკმაყოფილოა

გუნდში მოსამსახურესავით ვარ

საფრანგეთში პირველ საწვრთნელ შეხვედრაში "ოშთან" განცდილი მარცხის შემდეგ (17:20), ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში სერიოზული განსჯა შედგა და კონსულტანტ **ანრი ბრონკანს** საწვრთნელ პროცესში ჩართვის ნება დართეს. მანამდე კი...

ფრანგული სარაგბო ვებ-გვერდ www.rugbyhebdo.fr-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი ამბობს:

"გუნდში მოსამსახურესავით ვარ. ჩემი ფუნქცია ტრენაჟორების დარბაზის კარების გაღება და დაკეტვაა. ვარჯიშებს შორიდან ვუყურებ. ყოველივე ამას ძალიან ცუდი სუნი ასდის. ნაკრების მწვრთნელებმა თავიდანვე დაუფარავად გამოამჟღავნეს ჩემდამი მტრული დამოკიდებულება. ასეთ მდგომარეობაში ყოფნას დიდხანს ვერ გავუძლებ.

ერთ დღეს მკითხეს, პირველ რიგში თამაშის რომელი კომპონენტის დახვეწაზე იმუშავებდითო. არც დავფიქრებულვარ, ეგრევე ვუპასუხე, დაცვაში თამაშზე-მეთქი. როგორ გგონიათ, რა ქნეს? მთელი დღე შეტევაში თამაშზე ავარჯიშებდნენ გუნდს."

ბრონკანთან დაკავშირებული პრობლემა ალბათ ანი მაინც გადაიჭრება. მით უფრო, რომ საფრანგეთში მოთამაშე ნაკრების მორაგბეებმაკარგად უწყიან მისი კვალიფიკაციის შესახებ და ბრონკანთან მუშაობის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. მით უფრო, რომ "ჯადოქრად" წოდებული "ანრი ბიძია" თავის სამსახურს ანაზღაურების გარეშე გვთავაზობს.

ხვალიდან საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი შეემატება. IRB-ის სანაკრებო განვითარების პროგრამით საქართველოს ნაკრებისთვის ფეხით თამაშისა და დაცვის სპეციალისტებთან კონსულტაციები მოეწყობა. ამ სპეციალისტებიდან პირველი, ინგლისური კლუბის, "ბრისტოლის" მწვრთნელი **ჯონ ბარნსი** ჩვენს ნაკრებთან ერთად 9-11 აგვისტოს ფეხით თამაშზე იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ ჯონ ბარნსი შარშან თბილისში ბარბაროსებს ჩამოუძღვა მწვრთნელის რანგში და ბორჯღალოსნების წინააღმდეგ წაიბურთავა კიდეც.

ბესიკ ჯანგავაძე



ჯონ ბარნსი

ანრი ბრონკანი

ჭიდრეკი

ქართული ვუელტა

ქართველი მოჭადრაკეები ზაფხულში უცხოეთს ეშურებიან და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ. ესპანეთი ქართველთა საჭადრაკო რუკაზე ყოველწლიურად უფრო პოპულარული ხდება - ამ ქვეყანაში უამრავი ტურნირი ტარდება. მონაწილეობის სურვილი ყველას აქვს, მაგრამ სიშორის და, შესაბამისად, სიძვირის გამო, ბევრი ვერ მიემგზავრება. თუმცა, ბოლო დროს, ესპანეთში, კერძოდ, ბარსელონაში ქართველი დიდოსტატი **ანა მათნაძე** დამკვიდრდა და თანამემამულეებს ეხმარება - იგი საერთაშორისო საქველმოქმედო მოძრაობა "ჭადრაკი - მშვიდობის ელჩის" პრეზიდენტია, რომელიც შარშან შეიქმნა და შარშანვე მოხერხდა ამ ორგანიზაციის სახელით რამდენიმე ქართველი გოგონასა და დიდოსტატ **ლევან არაშიძის** მიწვევა.

ნლეულსაც შეძლო ანამ ესპანელთა დაინტერესება და ფრიად მისაღები პირობების შეთავაზების შემდეგ პირენეის ნახევარკუნძულზე გაემგზავრნენ **სოფიკო ნიკოლაძე, სოფიკო გურამიშვილი და მარიამ დანელია**. მათნაძესთან ერთად გოგონები ხუთ ტურნირში ითამაშებენ, რაც ერთგვარი კრუიზი გახდება და თუ ველომრბოლებს დავესესხებით მინი-ვუელტა, ანუ მარყუჟი შეიკვრება...

პირველი პუაბლა დე ლილეტის საერთაშორისო ტურნირია, სადაც მანდილოსანნი თითზე ჩამოსათვლელნი არიან, მონაწილეთა საერთო რაოდენობა კი 58 აღწევს. პირველ ნომრად ებრაელი **არტურ კოგანია** განთესილი (2569); მეორე აზერბაიჯანელი **აზერ მირზოევია** (2551); მესამეა სომეხი **კარენ მოვსესიანი** (2534). ანა მათნაძე მეშვიდეა (2409); გურამიშვილი - მეცხრე (2273); ნიკოლაძე - მეთოთხმეტე (2203), დანელია - 22-ე (2066). ქალთა შორის უმაღლესი რეიტინგი ავსტრიელ **ევა მოზერს** აქვს - 2424 და მეხუთეა ტურნირზე. ქალთა შორის დამატებითი პრიზი თამაშდება და ამიტომ მნიშვნელოვანია, ვინ იმარჯვებს მანდილოსნებში.

პრიზები უხვად არის - სხვადასხვა კატეგორიასა და ასაკში, თუმც მთავარი მაინც ტურნირის მოგება, სადაც გამარჯვებული 1200 ევროს მიიღებს; მეორეადგილოსანი - 800 ევროთი გამდიდრდება, მესამეზე გასული 600 ევროთი შეივსებს ბიუჯეტს. ტურნირი შვიცარიული სისტემით 9 ტურად იმართება; მოსაფიქრებლად მონაწილეს 90 წუთი ეძლევა მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

დღეისთვის ხუთი ტურია გასული და ქართველები მშვენივრად თამაშობენ. განსაკუთრებით სოფიკო ნიკოლაძის შემართება უნდა გამოვარჩიოთ - მან 4-დან 4 ქულა დააგროვა და მხოლოდ მეხუთეში დამარცხდა თეთრებით აზერბაიჯანელ აზერ მირზოევთან. სოფიკო ბოლო ათწლეულის განმავლობაში ვგონებ პირველად გავიდა საქართველოს საზღვარს გარეთ სათამაშოდ და ასეთი წარმატება გასაკვირიც არის და სასიამოვნოც. მეექვსე ტურის წინ ნიკოლაძე მეორე-მეშვიდე ადგილებს იყოფს კოგანთან, **თომას ლუთერთან, ალექსანდრ ვოლთან, იპოლიტ აზიზასა** და ანა მათნაძესთან ერთად. ანამ საწყის ტურში წაიბორძიკა, მაგრამ ლიდერებს ძალიან არ ჩამორჩა; გურამიშვილიც არ არის შორს ლიდერთა ჯგუფისგან - 3,5 ქულა აქვს; მარიამ დანელიას კი - 3. ავსტრიელ ევა მოზერს 3,5 ქულა აქვს და, ცხადია ქალთა შორის ვერ პირველობს. სხვათა შორის, მესამე ტურში მისი დამარცხება შავებით ნიკოლაძემ შეძლო.

როგორც მიხვდებოდით, მეხუთე ტურში ნიკოლაძეზე გამარჯვების შემდეგ პირველობა აზერ მირზოევმა მოიპოვა - მას ხუთი ქულა აქვს. მართალია ტურნირის ნახევარზე მეტი გასულია, მაგრამ პირველობაზე ფიქრი ჯერაც შესაძლებელია; საპრიზო ათეულში მოხვედრა კი, ალბათ მინიმალური ამოცანა იქნება ჩვენებურთათვის.

ესპანეთშივე თამაშობს ლევან არაშიძეც, რომელიც ამჯერად მათნაძის "გუნდში" არ არის - იგი სოლედ დე ბადალონის ტურნირში ერთადერთი ქართველია. აქ 112 მონაწილეა, რომელთაგან 8 დიდოსტატია, მათ შორის - არაშიძეც; 11 კი - საერთაშორისო ოსტატი.

პირველ ნომრად ცნობილი ბულგარელი დიდოსტატი **ალექსანდრ დელჩევი** (2591) მოგვევლინა; მეორეა უკრაინელი **ვიქტორ მოსკალენკო** (2560); მესამე - ესპანელი **დუბლან ნარსისო** (2552); არაშიძე მეთერთმეტეა (2470).

წარმატება აქაც გვაქვს და ქართველი დიდოსტატი ლიდერებშია - დელჩევსა და კუბელ **ორვის პერესთან** ერთად 4,5 ქულა აქვს - მეექვსე ტურში ლევანი შავებით კუბელს ხვდება და მართალია მეტოქე კარგად თამაშობს, მაგრამ განთესვის ნომრით მხოლოდ მეთვრამეტეა და დიდოსტატიც არ გახლავთ; ასე რომ, უპირატესობა მის მხარეს არის და წესით, უნდა მოუგოს... დელჩევი ოთქულიან ნარსისოს ხვდება - ბულგარელი შავებით არის.

ზვიად შათირიშვილი

ოსაკა 2007

მენენდესი ოსაკაში ვერ იასპარეზებს

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა შუბის ტყორცნაში, კუბელმა **ოსლეიდის მენენდესმა** გამოაცხადა, რომ მონაწილეობას ვერ მიიღებს მძლეოსანთა მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატზე, რომელსაც 25 აგვისტოდან იაპონიის ქალაქი ოსაკა უმასპინძლებს. ამის მიზეზად მან მარჯვენა ფეხის ტრავმა დაასახელა.

"ფეხში ტკივილი ჯერაც მანუხებს. ოსაკაში კი ისე არ წავალ, თუ ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვიქნები, რომ ასპარეზობისთვის მომზადებული ვარ. მთავარი კი ისაა, რომ ჩემპიონატზე მეორე ან მესამე ადგილისთვის პაექრობა არ მსურს. ჩემი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება პირველობა. ასე რომ, თუ მეცოდინება, რომ ოქროსთვის ბრძოლას ვერ შევძლებ, ოსაკაში არაფერი მესაქმება", - განაცხადა 27 წლის კუბელმა.

ამ სეზონში მენენდესმა მხოლოდ ოთხ ტურნირში იასპარეზა, რომლებზეც მისი საუკეთესო შედეგი მხოლოდ 62.34 მეტრია, რითაც მან რიო დე ჟანეიროში პანამერიკული თამაშების ჩემპიონის წოდება დაიბრუნა. ცნობისათვის, ეს წოდება მან ოთხი წლის წინათ, სანტო დომინგოში (დომინიკელთა რესპუბლიკა) დაკარგა.

"რა თქმა უნდა, ოსაკაში გამოსვლა ძალიან მინდა, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიადაა. ჰოდა, მირჩევნია, მინ დავრჩე და ტრავმა ბოლომდე მოვიშუშო, რათა ეს პრობლემა მომდევნო სეზონში აღარ გადამყვეს. ჩემპიონობის გარდა, პეკინში მსოფლიო რეკორდის განახლებასაც ვაპირებ", - ამბობს მენენდესი, ვინც მკლავის ძველი ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ კანჭის ტრავმა სათანადო გამორბენში ხელს უშლის.

კუბელ შუბის მტყორცნელს მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ორჯერ (ედმონტონში 2001 წელს და ჰელსინკიში 2005 წელს) აქვს მოპოვებული. ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე კი ოლიმპიურ ოქროსაც დაეუფლა. ათენშივე, მას ოდენ ათი სანტიმეტრი დააკლდა მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებამდე. სხვათა შორის, რეკორდიც (71.54 მეტრი) მას ეკუთვნის და ის მან 2001 წელს დაამყარა. ამ მიზანს მან მოგვიანებით, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც მიაღწია - შუბი 71.70 მეტრზე გასტყორცნა. მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატების ოცწლიან ისტორიაში მენენდესი პირველი ლათინოამერიკელი სპორტსმენია, ვინც მუნდიალზე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება შეძლო.

ოსაკაში მენენდესის არწასვლით, მნიშვნელოვნად შესუსტდება კუბელთა ნაკრების ძალა. უფრო მეტიც, არის იმის საშიშროებაც, რომ იაპონიაში ვერ იასპარეზოს 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **სულია კალატაიუდმა**. თუმცა კუბელთა ნაკრებში მაინც რამდენიმე უმაღლესი კლასის მძლეოსანი ირიცხება. მათ შორის არიან თარჯმრბენი **დაირონ რობლესი**, უროს ტყორცნაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **იპსი მორენო** და მხტომელები - **ვიქტორ მოია** და **იარგელის სავინიე**.



ოსლეიდის მენენდესი

დაბოლოს, კუბას მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, მოპოვებული მედლების რაოდენობით, მეექვსე ადგილი უკავია. "თავისუფლების კუნძულის" სპორტსმენებს მსოფლიო ფორუმებზე სულ ოქროს 16 მედალი აქვთ მოპოვებული.

პეკინი 2008

ერთი წელიწადი პეკინის ოლიმპიადამდე

პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე უკვე ერთ წელიწადზე ნაკლები რჩება. ოლიმპიადამდე ბოლო ერწლიანი პერიოდის დაწყებასთან დაკავშირებით, პეკინს ოფიციალური ვიზიტით ეწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტი **ჟაკ როგე**.

პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორთა მიერ გაწეული სამუშაოთი. თუმცა აღნიშნა, რომ ჩინელებს ჯერაც ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. როგემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პეკინში საშინელი ჰაერია, არსებობს უსაფრთხო კვებასთან დაკავშირებული პრობლემები და მედია ჯერაც არაა თავისუფალი.

სამაგიეროდ, გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს ყველა სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ერთის გარდა, ყველა არენის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. ეს ერთადერთი გამონაკლისი ოლიმპიადის მთავარი სტადიონი - "ჩიტის ბუდეა", რომლის ძირითადი ნაწილი უკვე ამოყვანილია, თუმცა დასრულებამდე ჯერაც ბევრი უკლია.

პეკინის ოლიმპიადის მოსამზადებელი კომიტეტის აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტი **ვან ვეი** ამბობს, რომ უკვე დაწყებულია ოლიმპიადის ბილეთების რეალიზაცია. მანვე განაცხადა, რომ ბილეთებზე დიდი მოთხოვნაა როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩინეთშიც.

ვეიმ ასევე განაცხადა, რომ პეკინში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს მდგომარეობა, შემცირდა ქალაქის ქუჩებში საავტომობილო საცობთა რაოდენობა, რაც დადებით გავლენას ახდენს ქალაქის ჰაერზე. თუმცა მაინც ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელიო.

პეკინის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის კიდევ ერთი ვიცეპრეზიდენტის, **ძიან სიაუს** თქმით, ბევრი რამ გაკეთდა იმისთვისაც, რომ უცხოელ და ადგილობრივ ჟურნალისტებს ოლიმპიადის პერიოდში უპრობლემოდ მუშაობის საშუალება ჰქონდეთ. ამასთან, მან დღემდე აქტუალური პრობლემების მოგვარების პირობაც დადო. ამასთან:

"პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი იწვევს უცხოელ ჟურნალისტებს იმისათვის, რომ მათ ამ ეტაპზე-ვე გააშუქონ ოლიმპიადისთვის მზადების პროცესი, მისი ყველა ასპექტი. ჩვენ კონსტრუქციული კრიტიკისთვისაც მზად ვართ, რაც სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში უთუოდ დაგვეხმარება, მაგრამ ჩვენვე არ ვეთანხმებით მათ, ვინც ჩვენს პრობლემებს პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად იყენებს. სხვა თუ არაფერი, ამგვარი ქმედება ოლიმპიურ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება", - ამბობს სიაუ.

ორგანიზაცია "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ოლიმპიადის ორგანიზატორებს ახსენებს, რომ ჩინეთმა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოპოვებისთანავე პირობა დადო, რომ ყველაფერს იღონებს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და პრესის თავისუფლების გასაუმჯობესებლად. *"მათ კონკრეტული პირობა დადეს, მაგრამ ამ ექვსი წლის განმავლობაში რეალურად არაფერი გაუკეთებიათ"*, - ამბობს ორგანიზაციის გენერალური მდივანი **რობერტ მენარდი**, ვინც ჩინეთის ხელისუფლებას პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

მენარდი როგეს სთხოვს, ჩინეთის მთავრობაზე ზეწოლა მოახდინოს, რათა ამ უკანასკნელმა პოლიტპატიმრები გაათავისუფლოს და ცენზურა გააუქმოს.

სხვათა შორის, როგეს ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩინეთის პოლიციამ "რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს" რამდენიმე წევრი ორიოდე საათით, განმარტების გარეშე დააკავა და მალევე გაუშვა. მერე კი, ჩინეთის ცენზურამ ჩაახშო CNN-ის მაუწყებლობა, სადაც აღნიშნულ ინციდენტზე იყო ლაპარაკი.

პეკინის ყველაზე სერიოზული პრობლემა კი სმოგია, რომლის გარეშეც იქ დღე არ ჩაივლის. პეკინელები ირწმუნებიან, რომ ამ მხრივ, საქმე გამოსწორდა, თუმცა ჯერაც ბევრია გასაკეთებელი. მასპინძელთა თქმით, ოლიმპიადის დაწყებამდე ისინი ამ პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ რამდენიმე ღონისძიებას გეგმავენ.

"სუფთა ჰაერი და ცისფერი ცა პეკინის ოლიმპიადის საკვანძო ბარათი უნდა გახდეს. ჩვენთვის მთავარია არა თამაშების გარეგნული მხარე, არამედ სპორტსმენებისა და და ოლიმპიადის სტუმრების ჯანმრთელობის გაფრთხილება", - ამბობს ვანი და დასძენს, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორები სპეციალურად ემზადებიან საკვებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლადაც, რისთვისაც უკვე შექმნილია საკვების უსაფრთხოების კომიტეტი.

როგეს ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე, საერთაშორისო პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პეკინში საკვები პროდუქტები ხშირად სახიფათოა ადამიანებისთვის, რის გამოც, ბევრი ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება.

და მაინც, ძიანი დარწმუნებულია, რომ პეკინი მსოფლიოს სპორტულ სამყაროს ჯერ არნახულ სანახაობას შესთავაზებს. *"ჩვენ უდიდესი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და გარწმუნებთ, ერთი წლის შემდეგ, ჩვენ მიერ გაწეული სამუშაოთი ჩვენი სტუმრები კმაყოფილნი დარჩებიან"*, - ამბობს ძიანი.

მერაბ ლორთქიფანიძე

ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა მერმის დასრულდება

8 აგვისტო. ოთხშაბათი

EUROSPORT

09:30. სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მესამე დღე (live)
12:30. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან პრი
13:45. ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია - ბაიერნი (გერმანია) (live)
15:15. სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მესამე დღე (live)
17:30. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან პრი
19:00. ფეხბურთი. ევროგოლები. ახალი ამბები
19:30. გოლფი. აშშ-ის PGA-ს ტურნირი. რინო (აშშ)
20:30. გოლფი. ევროპული ტური. რუსეთის ღია (მოსკოვი)
21:00. გოლფი. ევროპული ჩელენჯ ტური
21:35. აფრონსობა. მსოფლიო ტური. მარსტრანდი (შვედეთი)
22:10. პოლო
22:45. სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მესამე დღე
24:00. თავგადასავალი. სამთო X რბოლა (საფრანგეთი)
01:00. ოლიმპიური ჟურნალი
01:30. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთის ეტაპი. მიმოხილვა

EUROSPORT 2

08:30. ახალი ამბები
11:00. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთის ეტაპი. მიმოხილვა
12:00. ავტოსპორტი. GP2-სერია. ბუდაპეშტი (უნგრეთი). პირველი რბოლა
12:30. ავტოსპორტი. GP2-სერია. ბუდაპეშტი (უნგრეთი). მეორე რბოლა
13:00. ახალი ამბები
15:00. ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. პოლონეთი-რუსეთი
16:00. ავსტრალიური ფეხბურთი (ოზი რულზი). ადელაიდა-პორტ ადელაიდა
17:00. პლაჟის ფეხბურთი. პალმა დ მალიორკა (ესპანეთი). ფინალი
18:00. მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. დიდი პრიზის სერია. სოფია (ბულგარეთი)
19:00. ახალი ამბები
19:30. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთის ეტაპი. მიმოხილვა
20:30. ახალი ამბები
21:00. WATTS
21:45. ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი
22:30. მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. რიგა (ლატვია)
23:00. რესტლინგი. იაპონიის ლიგა
01:00. ახალი ამბები

SPORT 1 (უკრაინა)

06:50. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. 2006/07. ჰამბურგი-ვოლფსბურგი
08:30. მინი-მოედანი. მძლეოსნობის ტურნირი ბავშვებში. უკრაინის თასი
09:00. ახალი ამბები
09:10. უკრაინის სპორტის ისტორია. 1958 წელი
09:20. X 5
09:50. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 2006/07. ინტერი-ფიორენტინა
11:40. ჩოგბურთი. WTAA. სტოკჰოლმი. ფინალი
13:40. ფიტნეს-გეგმა
14:10. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან პრი
17:50. მინი-მოედანი. მძლეოსნობის ტურნირი ბავშვებში. უკრაინის თასი
18:15. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატ. 2006/07. ჰამბურგი-შტუტგარტი
19:55. ჰოკეი. NHL. საუკეთესო მატჩები. ოტავა-ბაფალო (სტენლის თასი 2006/07)
21:35. რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2005/06. მილანი-ბაიერნი
23:30. ახალი ამბები
23:40. ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 2006/07. სელტა-ატლეტიკო
01:35. ახალი ამბები
01:45. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 2006/07. ინტერი-ფიორენტინა
03:25. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან პრი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

პაოკი-ლივორნო	1:1
იოკოჰამა-ბარსელონა	0:1

სლოვაკეთი

ზლაგე მორავცე-კოშიცე	2:1

შვეიცარია

მალმიო-პელსინგბორგი	1:1

ჩოგბურთი

ATP

მონრეალი

გონსალესი-**სტეპანეკი**	7:6, 6:7, 4:6
კარლოვიჩი-მირნი	4:6, 6:3, 7:6
მიურეი-გინეპრი	6:4, 6:4
ბლეიკი-მელცერი	7:5, 7:6
ვერდასკო-ჩელა	3:6, 6:1, 6:3
ჰაასი-კალერი	6:3, 7:6
ნიემინენი-ბენეტო	6:3, 6:4
საფინი-სოდერლინგი	6:2, 6:0
ჯოკოვიჩი-კიფერი	6:3, 6:3

სან მარინო

როიტმანი-**რამირესი**	6:4, 6:7, 2:6
დი მაურო-გუჩიონე	7:6, 6:3
მარაცა-**გალვანი**	6:7, 6:7
გუზმანი-რეკოდერკი	6:4, 7:6
მონტანიესი-შრუკინი	3:6, 6:4, 7:5
ჰარტფილდი-ეკონომიდისი	6:4, 6:4
ანდუიარი-გრეული	6:2, 6:4

სტამბოლი

სელა-**ლევი**	6:3, 6:7, 6:7
მიულერი-კლემენსი	6:2, 6:2
ვლიგენი-**დანიელი**	6:0, 4:6, 4:6
ტროიცკი-მერტლი	6:3, 6:4
შუტლერი-ნორმანი	7:6, 5:7, 6:3
ჯოუნსი-ჟანპიერი	6:4, 6:4
კუბოტი-ცაკლი	6:7, 6:3, 6:2
პეია-ლ. მაიერი	6:7, 7:6, 6:2
პლესი-**ლაკო**	3:6, 3:6
კარანუშიჩი-ლედოვსკიხი	6:3, 6:3

WTA

ლიოს ანჯელესი

პეერი-ჩიბულკოვა	6:2, 6:3
ნ. აზარენკა-ბრიანტი	6:3, 6:3
პენი-შვედოვა	6:3, 6:4
სრებოტნიკი-მატეკი	6:4, 7:5
დემენტიევა-მაკაროვა	6:3, 6:1
სანტანჯელო-როდიონოვა	6:1, 7:6

ამგეგი

ჟიგერის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა

ბოლო წლების ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, "ანაჰაიმ დაქსის" **ჟანსებასტიან ჟიგერმა** საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და მოქმედი ჩემპიონების სანვრთნელი ბანაკის დასანყისისთვის სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს. ჟიგერს ოპერაცია ჩრდილო კაროლინის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გაუკეთეს.

მონრეალის მკვიდრი ჟან-სებასტიანი "დაქსთან" ერთად შარშან პირველად დაეუფლა სტენლის თასს, რაშიც თავად დიდი როლი ითამაშა. რეგულარულში მან მონაწილეობა მიიღო 56 შეხვედრაში და 36 გამარჯვება (10 წაგება, 8 ფრე) მოიპოვა. იგი ერთ მატჩში საშუალოდ 2.26 შაიბას უშვებდა.

ბევრად შთამბეჭდავი იყო ჟიგერის გამოსვლა ფლეი ოფში, სადაც იგი 13 მოგებით გამოირჩა, მხოლოდ 4 შეხვედრა დათმო და მეტოქეებს კალიფორნიელთა კარში, საშუალოდ, ოდენ 1.97 შაიბა გაატანინა. 21 ივნისს ჟიგერმა გუნდთან ახალი, 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც გუნდი მას 24 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ჟან-სებასტიან ჟიგერი

ფიოდოროვი ედმონტონში?

"კულამბუს ბლიუ ჯეკეთსის" რუსი ფორვარდი **სერგეი ფიოდოროვი** აცხადებს, რომ მის აგენტს "ედმონტონ ოილერზის" გენერალური მდივნის, **კევინ ლოუს** სახელით დაუკავშირდნენ და ალბერტას მხარის გუნდში გადასვლა შესთავაზეს.

ფიოდოროვი "ოილერზში" გადასვლაზე თანახმაა, ოღონდ "ედმონტონისგან" წლიურად, მინიმუმ, 4.65 მილიონ დოლარს ითხოვს.

რუს ვარსკვლავს თავისი საუკეთესო წლები ზურგს უკან აქვს მოტოვებული, რაზეც უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში მისი სტატისტიკა მოწმობს. ბოლო რეგულარულში ფიოდოროვის მონაგარი მხოლოდ 18 გატანილი შაიბა და 24 შედეგიანი გადაცემა იყო, თუმცა ლოუს პირით მოსაუბრის აზრით, სერგეი თავისი გამოცდილებითა და ქარიზმით გუნდს ფლეი ოფში დაბრუნებაში დაეხმარება.

ფიოდოროვი, რომელიც 1994-ში სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელეს, კარიერაში 461 გატანილი შაიბითა და 644 შედეგიანი გადაცემით გამოირჩა.

დიდი ტრანსფერის წინ

კალიფორნიაზე მეოცნებე

აბა, მიდი და გაიგე, ვინ ამბობს მართალს და ვინ ცრუობს. ყველაფერი კი ისევ და ისევ "ლეიკერსის" უკმაყოფილო სუპერვარსკვლავს, **კობი ბრაიანტს** უკავშირდება, რომელიც გუნდს ჯერაც ულტიმატუმებით ესაუბრება და ბოსებისგან შემადგენლობის სასწრაფოდ გაძლიერებას ითხოვს.

კევინ გარნეტის ხელიდან გაშვების შემდეგ, "ლეიკერსი" მთლიანად "ინდიანა პეისერზის" ფორვარდზე, **ჯერმეინ ონილზე** გადაერთო. კალიფორნიაში კარიერის გაგრძელების წინააღმდგეი არც ონილია, თუმცა...

მას მერე, რაც "პეისერზმა" შარშან ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად ვერ მოახერხა ფლეი ოფში გასვლა, ონილი გაცვლის რეალურ კანდიდატად იქცა. ჯერმეინისადმი დიდი სიმპათიების მიუხედავად, გუნდის პრეზიდენტი **ლარი ბერდი** მაინც იმ აზრზეა, რომ ორგანიზაციას ახალი გეზით წაყვანა სჭირდება, ხოლო ონილის საფასურად კი რამდენიმე კარგი და შედარებით იაფი მოთამაშის დამატებაა შესაძლებელი.

თავად ონილი კი უამრავი შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე მეტად "ლეიკერსს" ემხრობა, თუმცა უარს არც "ნიუ ჯერსიში" გადასვლაზე იტყოდა.

"ლეიკერსში" არაჩვეულებრივი აურა და კობი ბრაიანტია, ხოლო "ნეთსში" კი ჩემი უსაყვარლესი გამთამაშებელი ჯეისონ კიდია. "ინდიანაში" დარჩენა ჩემთვის ამ ეტაპზეც ყველაზე სასურველი და მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ საბოლოოდ გადაწყდება, რომ უნდა გამიშვან, იმედი მაქვს, ჩემს აზრსაც გაითვალისწინებენ და ისეთ გუნდში გამცვლიან, სადაც მინიმუმ, ფლეი ოფისთვის ვიბრძოლებ", - ამბობს "ყველა ვარსკვლავის" მატჩის ექვსგზის მონაწილე ჯერმეინი.

ამავე დროს, ჯერმეინის აგენტმა **არტ ტელემმა** ერთ-ერთ ჩვენს ამერიკელ კოლეგას ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა შეტყობინება, სადაც ამბობს, რომ მისი კლიენტი არსად არ გადადის და ბერდმა ახალი ხელშეკრულება შესთავაზაო.

ერთ საათში კი ESPN-ზე ლარი ბერდის სიტყვებს აქვეყნებენ.

"გუნდმა ფლეი ოფი გამოტოვა, ბევრი რამ შესაცვლელია და თუ ვინმეს გაცვლას გადავწყვეტთ, ეს პირველ რიგში, ჯერმეინი იქნება. მასში ყველაზე მეტსა და ჩვენთვის სასურველი ხელფასის მქონე მოთამაშეს მივიღებთ. ცხადია, ჯერმეინმა შესაძლოა, კარიერა მაინც "ინდიანაში" გაარძელოს, თუმცა მეეჭვება, რომ მას მსურველები არ გამოუჩნდნენ. იგი ხომ ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მაღალი მოთამაშეა", - განაცხადა ბერდმა.

შარშანდელ რეგულარულში ჯერმეინ ონილმა საშუალოდ 19.4 ქულა, 9.6 მოხსნა და 2.65 დაფარება დააგროვა, რაც მის 11-წლიან კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

რას სთავაზობს "ლეიკერსი" "ინდიანას" ჯერმეინ ონილში?

თუ ტრანსფერი შედგება, მაშინ "პეისერზი" ფორვარდ **ლამარ ოდომსა** და უნიჭიერეს **ენდრიუ ბინუმს** მიიღებს. გახსოვთ ალბათ, რომ შარშანდელი რეგულარულისას "ლეიკერსმა" "ნიუ ჯერსის" 19 წლის ბინუმი **ჯეისონ კიდში** არ გაუცვალა, თუმცა ბოსებს აზრი შეეცვალათ და ტრანსფერიც უკვე საკმაოდ რეალურად მოჩანს.

"ნიუ ჯერსი" კი "პეისერზს" მომდევნო დრაფტის პირველ წრეში სამი არჩევანის გაკეთების უფლებასა და 11.7 მილიონ დოლარს მისცემს.

"ცხადია, "ნიუ ჯერსიც" მიმზიდველი ადგილია, მაგრამ პატარა, ძალიან უმნიშვნელო უპირატესობას მაინც "ლეიკერსს" ვანიჭებ", - ამბობს ჯერმეინი.

"ონილი დღეს გამორჩეული მძიმე ფორვარდია და როგორ მეკითხებით, მივესალმები თუ არა მის ჩვენს გუნდში გადმოსვლას? რა თქმა უნდა, მივესალმები. "ნეტსი" ამ შემთხვევაში ეგრევე ჩემპიონობის ფავორიტების გვერდით დადგება", - ეს კი უკვე ჯეისონ კიდის სიტყვებია.



ჯერმეინ ო'ნილი

ონილი იმასაც ამბობს, რომ ძლიერ დასავლეთში დაბრუნება ("ინდიანამდე" იგი "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ღირსებას იცავდა) მისთვის ახალი გამოწვევა და პროგრესირებისკენ სწრაფვის დამატებითი მოტივაცია იქნება.

"დასავლეთი ძალიან ძლიერია და იქ დანკანი, ნოვიცკი, იაო მინი და ბრენდი თამაშობენ. საუკეთესოდ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევი, თუ მანამდე საუკეთესოებს დაამარცხებ", - მიაჩნია ონილს, რომლიც იქვე დასძენს, თუ "ლეიკერსი" ჩემთვის წლიურად 19 მილიონ დოლარს ვერ გაიმეტებს, თანახმა ვარ, "მხოლოდ" 17-ის სანაცვლოდ ვითამაშოო. ბოლო რეგულარულში ჯერმეინმა "პეისერზისგან" 17 მილიონი მიიღო და გუნდის ყველაზე ძვირადღირებული წევრიც იყო.

მოკლედ, ასეთი ამბებია, ჩვენ კი მოვლენების განვითარებას დაველოდებით.

ზურაბ თალაკვაძე

ლეიტონ ჰიუიტი

როჯერ ფედერერის, რაფაელ ნადალისა და კიდევ რამდენიმე სტაბილური მეჩოგნის ჩრდილში მოქცეულმა **ლეიტონ ჰიუტმა** ბოლო დროს, პირველი ოცეულის მეორე ეშელონში კი გადაინაცვლა, მაგრამ ოზი მოტივაციის არქონას ნაღდად არ განიცდის და ძველებურად, ყოველ შეხვედრაში ბოლომდე და სულ ქომონ, ქომონ-ის ძახილით იბრძვის. მამაკაცთა პრო-ტურის ყოფილმა პირველკაცმა მონრეალის მასტერსის პირველ წრეში ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო** დაამარცხა.

ჰიუიტის დარად, თავის დროზე ფერეროც ერთეულთა რეიტინგის მწვერვალზე იყო მოკალათებული, თუმცა მერე და მერე, ტრავმებით დატანჯულმა "მოსკიტომ" უკან დაიხია და დღეს ჰა, ჰა, პირველ ათეულს თუ მიუახლოვდება ხოლმე. მონრეალის მასტერსამდე ჰიუიტს განთესვის რეიტინგში 21-ე ადგილი ეკავა, ფერერო კი მე-17 პოზიციაზე მოკალათებულიყო.

ჰიუიტმა მთელი მატჩის განმავლობაში პირენეელს ოდენ 2 საბრეიკო შანსი მისცა და ამერიკის სასლემოს წინ ჰარდის სერიის პირველ დიდ ტურნირზე კარიერაში მე-13 შეხვედრაში მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. 2001 წლის ამერიკის ღიას ჩემპიონი ლეიტონი შემდეგ წრეში მეცხრედ განთესილს, თუმცა მისთვის სასურველ **ჯეიმს ბლეიკს** შეხვდება. ლეიტონისა და ჯეიმსის 8 ურთიერთშეხვედრიდან ამერიკელს ერთადერთი აქვს მოგებული.

კანადურ ჰარდზე ლეიტონი წარმატებულად ვერასოდეს თამაშობდა. აქამდე, მონრეალ-ტორონტოში მისი საუკეთესო შედეგი 3 წლის წინათ მეოთხედფინალი იყო, სადაც მას ფრანგმა **ფაბრის სანტორომ** აჯობა. თუმცა, იმასაც შეგახსენებთ, რომ შარშან და შარშანწინ ლეიტონი ტურნირიდან ტრავმების გამო მოიხსნა. 2006-ში ავსტრალიელმა მარჯვენა მუხლი იტკინა და შვედ **ტომას იოჰანსონთან** მეორე წრის ჯახი ბოლომდე ვერ მიიყვანა. ხოლო კიდევ ერთი წლით ადრე კი ჰიუიტი საპირველწრეო დაპირისპირებაში ფრანგ **ფლორან სერასთან** 3:4 რომ ჩამორჩა, საზარდულის ტრავმის გამო მოიხსნა ტურნირიდან.

ლეიტონი კანადაში პირველი ოცეულის მიღმა განთესილი პირველად ჩავიდა, თუმცა იმედოვნებს, რომ სათამაშო პრაქტიკის გაზრდით, იგი ამერიკის ღია პირველობას საუკეთესო ფორმაში შეხვდება.

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

ნუთუ მხოლოდ 26 წლის ვარ?

"ჩემი მიზანი სეზონის ბოლო სასლემოზე კარგი, სტაბილური ჩოგბურთის ჩვენებაა, მანმადე კი რაც შეიძლება ბევრი გამარჯვება უნდა მოვიპოვო. ისე, არ მჯერა, რომ მხოლოდ 26 წლის ვარ. დღევანდელი დეკადის ლიდერებთან შედარებით, ბაბუად გამოვიყურები", - გაიხუმრა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიტონმა, რომელსაც წლეულს ამერიკაში უკვე აქვს მოგებული ერთი ტურნირი. მარტში ლეიტონმა ლას ვეგასში იპირველა და ეს მისი 26-ე საერთეულო ტიტული გახლდათ.

ლეიტონის თემას კი შემდეგი ინფორმაციით დავასრულებთ - მონრეალსა და საერთოდ, ოზის მწვრთნელი სეზონის ბოლომდე ლეგენდარული **ტონი როჩი** იქნება, რითაც ჰიუიტი უზომოდ გახარებული გახლავთ.

პირველი სათამაშო დღის მთავარი სენსაცია კი ჰოლანდიელმა კვალიფიკანტმა, **რობინ ჰაასემ** მოახდინა, რომელმაც ტურნირის მეათე ჩოგანსა და შარშანდელ მეოთხედფინალისტს, ჩეხ **ტომაშ ბერდიხს** აჯობა.

ჰაასესთვის ეს მიმდინარე სეზონში მეათე გამარჯვება იყო, ცოტა ხნის წინათ კი ნიდერლანდელი ამერსფურტის სათიხნაროს ნახევრაფინალშიც გასულა და ერთეულებში ამჯერად კარიერაში უმაღლესი, 103-ე ადგილი უჭირავს. ვაშინგტონის ჰარდზე ჰაასე მესამე წრეში გაძვრა.

ბერდიხის წინააღმდეგ ჰაასემ ექვსივე ბრეიკ პოინტი გადაარჩინა და გზად 11 ეისიც დაამინა. საკუთარ პირველ მოწოდებაზე მან 50 გათამაშებიდან მხოლოდ 7 დათმო. რაც შეეხება ბერდიხს, იგი უიმბლდონის მეოთხედფინალში გასვლის მერე, ერთეულებში მხოლოდ მესამე შეხვედრას ატარებდა.

მეორე წრეში კიდევ ერთი კვალიფიკანტი გავიდა. ამერიკელმა **მაიკლ რასელმა** 11 ეისის მომწოდებელ ესპანელ **ნიკოლას ალმაგროს** 2:6, 7:6 (3), 6:3 მოუგო და მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ 1 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ზურაბ თალაკვაძე

ATP

მონრეალი

ჰარდ. საპრიზო ფონდი
2 200 000 დოლარი

I წრე

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 7:6(5), 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 10) 6:4, 7:5; **სტანისლას ვავრინკა (შვეი)**-ჰიუნ ტაიკ ლი (სამხ.კორ) 6:3, 3:6, 6:1; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 6:4, 6:3; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:4, 3:6, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-სებასტიან გროტანი (საფ) 6:2, 6:4; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-გილერმო კანიასი (არგ, 15) 4:6, 7:5, 6:0; **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 11) 6:3, 4:6, 7:6(5); **ფაბიო ფონნინი (იტა)**-პეტრ პოლანსკი (კან) 6:3, 7:6(7); **მაიკლ რასელი (აშშ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 2:6, 7:6(3); 6:3, **დავიდ ფერერი (ესპ, 16)**-ერნესტს გულბისი (ლატ) 6:2, 6:1; **დმინიკ ჰრბატი (სლვკ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 7:6(6), 6:4

WTA

ლოს ანჯელესი

ჰარდ. საპრიზო ფონდი
600 000 დოლარი

I წრე: ტამარინ ტანასუგარნი (ტაი)-ტატიანა გოლოვინი (საფ, 11) 7:5 (გოლოვინის ტრავმა); **ხისელა დულკო (არგ)**-ტაიტიან სუნი (ჩინ) 7:5, 6:4; **ვირჯინი რასანო(საფ)**-იან ჭი (ჩინ) 6:4, 7:5; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 7:5, 6:3; **ოლგა გოვორცოვა (ბელა)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 6:0, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტ, 13)**-ლორა გრენვილი (აშშ) 6:4, 6:2; **იულიანა ფედაკი (უკრ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 14) 1:6, 6:2, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 16)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 7:5, 6:2; **სანია მირზა (ინდ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:3, 6:2; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-სევერინ ბრემონი (საფ) 6:3, 6:1; **მარია კირილენკო (რუს)**-ელენა ბოვინი (რუს) 7:6 (8), 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 7:5, 6:1; **ეშლი ჰერკლროუდი (აშშ)**-ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:4, 6:1; **მედისონ ბრენგლი (აშშ)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:1, 6:4

ქრონიკა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერეკლე მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 ¼,
0159 თბილისი
(დილობი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა